დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თინათინ გიორგაძე

წევრები:

ნინო ბეგაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
ინგა ალავერდაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ელენე ოგბაიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ლაცაბიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
შორენა ნიკოლეიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ჭანტურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242007350

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ჩოხატაური, სოფელი კოხნარი
საფოსტო ინდექსი	4914
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kokhnari@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577625385

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 9 26 0000144304 10/02/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 16-17 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში მდებარე ერთი სასწავლო კორპუსი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში მდებარე ერთი სასწავლო კორპუსი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარში მდებარე ერთი სასწავლო კორპუსი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი 2026 წლის 16-17 მარტს განხორციელდა. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დირექციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს და ადმინისტრაციულ პერსონალს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა საგნის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა, ჩაეტარებინა ინტერვიუები მასწავლებლებთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 182	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო და საშუალო საფეხურები)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს*	*სკოლამ უზრუნველყოს სპეცმასწავლებლის აყვანა ვაკანტურ პოზიციაზე შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (არა უგვანეს 01.09.2026წ.)*
N3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლამ უზრუნველყოს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთათვის. შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (არა უგვიანეს 01.09.2027წ.)*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** ***(საგაზო, საშუალო საფეხურები)***	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს ლაბორატორიის მოწყობა (არა უგვიანეს 1.02.2027 წ.)*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს დახურული სპორტული დარბაზის მოწყობა (არა უგვიანეს 1.09.2026 წ.)*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.2	*სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელ უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას*	*სასურველია, პროფესიული განვითარების ინდივიდუალიზაცია. კერძოდ, HR პოლიტიკაში მეტი აქცენტი გაკეთდეს არაპედაგოგიური პერსონალის (ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი) პროფესიულ გადამზადებაზე, რათა მათი საქმიანობა კიდევ უფრო მეტად შეესაბამებოდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს.*
N3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად*	*საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში ნახსენებია მონაცემთა დაცვის ვალდებულება, თუმცა სასურველია HR პოლიტიკაში უფრო დეტალურად გაიწეროს კანდიდატთა მონაცემების შენახვისა და განადგურების ვადები კონკურსის დასრულების შემდეგ.*

N3.2.1.1.	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*	*სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული კითხვარები ან რუბრიკები თვითშეფასებისა და კოლეგების შეფასებისთვის, რათა პროცესი უფრო ობიექტური და გაზომვადი გახდეს. ასევე, შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები უფრო მკაფიოდ აისახოს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის ტრენინგებისა და აქტივობების ნაწილში.*
N3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად*	*სასურველია, პერიოდულად (წელიწადში ერთხელ მაინც) ჩატარდეს ანონიმური ან ნახევრად ანონიმური გამოკითხვა პერსონალის საჭიროებების დასადგენად, რაც უფრო ობიექტურ სურათს წარმოაჩენს, ვიდრე მხოლოდ რეფლექსიები.*
N3.4.1.4	*სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს*	*სასურველია, პოზიტიური დისციპლინის დანერგვა, სკოლის მიერ უფრო აქტიურად გამოყენება პოზიტიური დისციპლინის მეთოდებისა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ დარღვევაზე რეაგირებას, არამედ სასურველი ქცევის წახალისებას ემოციური კეთილგანწყობის ასამაღლებლად.*
3.5.1.3	*სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით*	*სასურველია, სკოლამ დაიწყოს მუშაობა წიგნადი ფონდის ელექტრონულ აღრიცხვაზე. ეს გაამარტივებს ძიების პროცესს და უფრო ეფექტურს გახდის წიგნის დაბრუნების ვადების კონტროლს.* *ასევე, წესში სასურველია უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს ადაპტირებული რესურსების (აუდიო წიგნები ან მსხვილი შრიფტით ნაბეჭდი მასალა) ხელმისაწვდომობაზე, რათა სერვისი სრულად ინკლუზიური იყოს.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(დაწყებითი, საბაზო, საშუალო)*	*რჩევა*

N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესს დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**ესთეტიკური აღზრდა:** ●კურიკულუმის მოცემული თემა სრულად უნდა იყოს შევსებული ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად (ხელოვნებაში ბოლო თემები ჩასაწერია გრაფებში ●კლასების მიხედვით მეტი თემის, საკითხის დამუშავება; ●თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. **მათემატიკა:** სასურველია, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგებმა კურიკულუმების შედგენისას დააზუსტონ სამიზნე ცნების ქვეცნებები, ასევე მიუთითონ საკითხების შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან.
N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** კარგი იქნება, თუ მომავალში გაითვალისწინებენ და გამოყოფენ, შემოქმედებითი ბუნების დავალება რომელ საკითხთან მიმართებაში ხორციელდება, რომელ სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს ფარავს. ასევე საკითხების კლასტერს თუ გააკეთებენ სამიზნე ცნებების მიხედვით.

		სახელმწიფო ენა: *სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.*
N2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველი იქნება, თუ პედაგოგები აქტიურად შეძლებენ ვირტუალური ლაბორატორიის ან სიმულაციური თამაშების ჩართვას სასწავლო პროცესში.* ***უცხოური ენები:*** *1. ციფრული რესურსების კონკრეტიზაცია - ყველა საფეხურზე "ონლაინ რესურსები" და "ინტერნეტი" ზოგადადა მითითებული, კონკრეტული პლატფორმებისა თუ ინსტრუმენტების დასახელების გარეშე. სასურველია კურიკულუმში პირდაპირ მიეთითებოდეს კონკრეტული ციფრული ბმულების მითითება, რადგან ეს გეგმის განხორციელებას გაამარტივებს და გაზომვადს გახდის.* *2. დიფერენცირებული რესურსების ჩართვა - კურიკულუმები არ ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებულ დამატებით რესურსებს. რეკომენდებულია, გამაძლიერებელი და დამხმარე მასალების გათვალისწინება, განსაკუთრებით საბაზო საფეხურზე, სადაც მოსწავლეთა შორის განსხვავებები უფრო თვალსაჩინოა.* *3. მოსწავლის მიერ შექმნილი რესურსების გაძლიერება - ზოგიერთ თემაში (მაგ. პოსტერების შექმნა) მოსწავლე თავადაც ქმნის სასწავლო მასალას, თუმც ეს პრაქტიკა სისტემური არ არის. რეკომენდებულია, ეს მიდგომა გაფართოვდეს ყველა საფეხურზე, რადგან მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი ერთდროულად რესურსიცაა და შეფასების საშუალებაც.*

		სახელმწიფო ენა: *სასურველია, სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით.*
N2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *● ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში დეტალურად იყოს ჩაშლილი შუალედური სასწავლო მიზნის შესასრულებლად აქტივობები და შესაბამისი რესურსი, მოსწავლეთა შესაძლებლობების ფარგლებში.* *● მოკლევადიანი და შუალედური მიზნები დეტად დაკონკრეტებას საჭიროებს კონკრეტულ ქვეცნებებთან მიმართებით.* ***სახელმწიფო ენა:*** *კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.*
N2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:*** *სასურველია, კონკრეტული აქტივობების ან დავალებების შესრულებისას მასწავლებლებმა შეიმუშაონ შესაბამისი რუბრიკები კონკრეტული მისაღწევი შედეგებით. ასევე, მივეცი რჩევა, რომ მოსწავლეებს წინასწარ გააცნონ შეფასების კრიტერიუმები, რაც აძლევს მათ საშუალებას ორიენტირებულნი იყვნენ სასწავლო მიზანზე და შედეგზე.* ***უცხოური ენები:*** *1. სასურველია, შეფასების კრიტერიუმები უფრო გაზომვადი გახდეს - ზოგიერთ ადგილას კრიტერიუმი ძალიან ზოგადია, მაგალითად, "აქტიურობ ან "ჩართულობა." უმჯობესია დაზუსტდეს, რას ნიშნავს კონკრეტულად,*

		მაგალითად, დაიწეროს "მოსწავლე სულ მცირე ორჯერ მონაწილეობს დისკუსიაში." *2. თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება დაემატოს - საბაზო საფეხურზე მოსწავლეს უკვე შეუძლია შეაფასოს საკუთარი და თანაკლასელის ნამუშევარ ეს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთანაა შესაბამისი და ამავდროულად მოსწავლის პასუხისმგებლობას ზრდის.* *3. შეფასების რუბრიკებში მიზანშეწონილი იქნება ენობრივი კომპეტენციის კრიტერიუმები კიდევ უფრო კონკრეტულად გაიწეროს უცხოური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, გრამატიკული სისწორე, ლექსიკის მრავალფეროვნება და კომუნიკაციური ეფექტიანობა ცალ-ცალკე კრიტერიუმად გამოიყოს.* ***ესთეტიკური აღზრდა:*** *● შეფასების სქემები კონკრეტულ საკითხთან, და არა მარტო, თემებთან მიმართებით შეიქმნას;* *● შემაჯამებლის ანალიზში გამოიკვეთოს კონკრეტულად რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რა შედეგია მიღწეული;* *● შემაჯამებლის დავალებები/ დიაგნოსტიკური ტესტები მოიცავდეს ცოდნი სამივე კატეგორიას (დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.)* ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას*

		იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.
N2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	***ესთეტიკური აღზრდა:*** *სასურველია, კათედრის ოქმის შედგენისას საკითხად განისაზღვროს არა საგნის/ების კონკრეტული პროექტი/აქტივობა, არამედ ზოგად საჭირო მოცემულობა.*
N2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***უცხოური ენები:*** *სანდოობისა და ობიექტურობის გასაძლიერებლად სასურველია შეფასების დეტალური რუბრიკები ყველა დავალებისთვის შემუშავდეს, რადგან ამჟამად ზოგიერთი კრიტერიუმი საკმარისად კონკრეტული არ არის.* ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.*

N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***უცხოური ენები:*** *კარგი იქნება, თუ გეგმაში გამოჩნდება, რომ მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში თავადაც ქმნის დამხმარე მასალებს, სამუშაო ფურცლებს, ვიზუალურ დამხმარეებს და სხვა.* ***სახელმწიფო ენა:*** *სასურველია, კურიკულუმს დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, მაგალითად: ლიტერატურული მასალის უკეთ გასაგებად პოდკასტები, აუდიოწიგნები; მწერალთა ბიოგრაფიების უკეთ შესამეცნებლად ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები; სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები ლიტერატურული კონტექსტისა და კონკრეტული თემების უფრო სიღრმისეულად გასაგებად.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები, ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა.

აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორებისა, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" (მესამე სტანდარტთან მიმართებით 3.1.2.4; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.4.1.6;), შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის დროისთვის „სრულად შეესაბამება", რაც დაწესებულებამ დაადასტურა მტკიცებულებებით, რომლებიც დანართების სახით წარმოადგინა და ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა. (3.4.1.1. ინდიკატორის ის ნაწილია დაკმაყოფილებული, რომელიც მოიაზრებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის ქონას).

ინდიკატორები 3.1.2.4; 3.4.1.1; 2.2.2.3; იყო შეფასებული უარყოფითად, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენილი აქტივობებით, განხორციელების ვადებით, საჭირო რესურსებით, ჩართული მხარეებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკებითა და ამ რისკის დადგომის ალბათობით შეფასდა, რომ ,,მეტწილად შეესაბამება". (3.4.1.1. ინდიკატორის ის ნაწილია მეტწილად დაკმაყოფილებული, რომელიც შეეხება სკოლაში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის სამუშაოებს.

ინდიკატორი 3.5.1.4 იყო სტანდარტთან შეუსაბამო და შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ნაწილობრივ შეესაბამება.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ მისია ორიენტირებულია მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებაზე, კრიტიკული აზროვნებისა და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ხედვა ითვალისწინებს თანამედროვე, უსაფრთხო და მამოტივირებელი სასწავლო გარემოს შექმნას, რაც უკავშირდება სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკას.ღირებულებები ეფუძნება თანასწორობას, გამჭვირვალობასა და პასუხისმგებლობას. სკოლაში დაცულია დოკუმენტების შემუშავების მონაწილეობითი პრინციპი: მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე მუშაობისთვის შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელშიც შედიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები. მისიის უცვლელად დატოვებისა და მისი აქტუალობის საკითხი შეთანხმდა სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N05, 02.09.2025), სადაც აღინიშნა, რომ არსებული ფორმულირება შეესაბამება სკოლის გრძელვადიან პრიორიტეტებს. სკოლას შემუშავებული აქვს „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული 09.09.2024, ოქმი N6), რომელიც განსაზღვრავს დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხაზს უსვამს, რომ დაწესებულება საკუთარ თავს მოიაზრებს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ დაწესებულებად. სკოლის მისია და ხედვა დაკავშირებულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რაც გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლე ყალიბდება თავისუფალ, დემოკრატიულ და პასუხისმგებლიან მოქალაქედ. დოკუმენტებში იკვეთება, რომ სკოლა არ არის მხოლოდ საგაკვეთილო პროცესის ადგილი,

არამედ აქტიური სოციო-კულტურული ცენტრი. სკოლას აქვს „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“, რაც იმას ნიშნავს, რომ მისიით განსაზღვრული პრიორიტეტები (მაგ: პიროვნული განვითარება) ტრანსფორმირდება კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებში. დოკუმენტაციაში გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის დასამტკიცებლად, რომ უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო არ არის მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი სიტყვები, არამედ სკოლა მუდმივად ზომავს ამ გარემოს ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება და გადახედვა წარმოადგენს კოლეგიალურ პროცესს. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები).

სკოლის დირექტორის ბრძანებით (N2/39, 13.09.2024) ფორმირებულია სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან არა მხოლოდ სხვადასხვა კათედრის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, არამედ ყველა საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მშობლები და მოსწავლეები. ეს ფაქტი ადასტურებს ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლობითობას.

2025 წლის 2 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N05 ადასტურებს, რომ სკოლის მისია და ხედვა წარდგენილი და განხილული იყო საბჭოზე, სადაც ხაზი გაესვა მათ ფუნქციას სასკოლო ცხოვრებაში. ოქმში ფიქსირდება მშობლების და მასწავლებლების აქტიური მონაწილეობა და გადაწყვეტილების ერთხმად მიღება (კენჭისყრის შედეგი: 20 მომხრე).

„სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის“ მე-8 და მე-9 ითვალისწინებს სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო პრეზენტაციას პედაგოგიურ საბჭოზე და ყველა დაინტერესებული პირის დასწრებას, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი სკოლაში მიმდინარეობს „ქვემოდან ზევით“ პრინციპით. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისას გამოყენებული იყო SWOT ანალიზის მეთოდი (ოქმი N01), როდესაც სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა სკოლის პრობლემებსა და პრიორიტეტებზე, რაც ნიშნავს, რომ მისია ეფუძნება რეალურ საჭიროებებს და არა მხოლოდ თეორიულ დებულებებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების რეალური ჩართულობით, პროცესი არის დოკუმენტირებული, გამჭვირვალე და გაზიარებული ყველა დაინტერესებული მხარის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება დასტურდება დოკუმენტების საჯაროობით, მათი რეგულარული განხილვითა და სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობის მაღალი ხარისხით.

2025 წლის 2 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N05 ადასტურებს, რომ მისიის დოკუმენტი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება. ოქმში ფიქსირდება, რომ მისიის გადახედვისა და გაცნობის პროცესში მონაწილეობდნენ მშობელთა და მასწავლებელთა წარმომადგენლები, რომლებმაც ერთხმად (20 მომხრე) დაადასტურეს არსებული ხედვის აქტუალობა.

გაზიარების პროცესი სცილდება მართვის ორგანოებს. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ კლასის ხელმძღვანელებმა განახორციელეს მისიისა და ღირებულებების პრეზენტაცია უშუალოდ მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. ეს ნაბიჯი უზრუნველყოფს, რომ სკოლის პრიორიტეტები ცნობილი იყოს განათლების მიმღები პირებისთვისაც.

სკოლის მიერ წარმოდგენილი „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“ (პუნქტი 8 და 9) ქმნის მდგრად მექანიზმს მისიის პერიოდული გაზიარებისთვის. ის ფაქტი, რომ სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უბრუნდება ამ დოკუმენტს და კრებებზე განიხილავს მას, მიუთითებს, რომ გაზიარება არის უწყვეტი პროცესი და არაერთგზისი აქტი.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ნამდვილად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. პროცესი დასტურდება როგორც დაწესებულების გადაწყვეტილებებით, ისე ფართო საზოგადოების (მშობლების, მოსწავლეების) ინფორმირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფილია სტრატეგიული დოკუმენტების მაქსიმალური გამჭვირვალობა. საჯაროობის მექანიზმები მოიცავს როგორც ფიზიკურ სივრცეს, ისე ციფრულ პლატფორმებსა და კომუნიკაციის პირდაპირ ფორმებს.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ პორტალზე (ვებ-გვერდი: www.skolebi.emis.ge). ეს უზრუნველყოფს დოკუმენტების ხელმისაწვდომობას ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (მშობელი, ექსპერტი, თემი), დროისა და სივრცის მიუხედავად.

სკოლის შენობაში, კერძოდ, ფოიეში (თვალსაჩინო ადგილას), განთავსებულია მისიის, ხედვისა და ღირებულებების ბანერი/დოკუმენტი. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ სკოლის პრიორიტეტები მუდმივად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვისა და ვიზიტორებისთვის, რაც ხელს უწყობს სასკოლო კულტურის გაზიარებას.

საჯაროობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დოკუმენტის განთავსებით. ოქმები ადასტურებს, რომ სკოლა აქტიურად აცნობს ამ დოკუმენტებს მშობლებსა და მოსწავლეებს. ოქმის მიხედვით, შეხვედრას ესწრებოდა 20 მშობელი, რომლებმაც მიიღეს ინფორმაცია სკოლის ფუნქციებისა და მიზნების შესახებ.

სკოლის „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის“ მე-9 პუნქტი პირდაპირ ავალდებულებს ადმინისტრაციას, რომ დამტკიცების შემდეგ გეგმა „საჯაროდ გამოქვეყნდეს საჯარო სივრცეში, სკოლის ფოიეში“. აღნიშნული რეგულაციის არსებობა მიუთითებს საჯაროობის პროცესის სისტემურობაზე.

სკოლა იყენებს საჯაროობის განსხვავებულ ფორმებს: ვიზუალურს (ფოიე), ვირტუალურს (ვებ-გვერდი) და კომუნიკაციურს (შეხვედრები/ოქმები). ეს მიდგომა გამორიცხავს ინფორმაციულ ვაკუუმს და უზრუნველყოფს, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა იცოდეს სკოლის განვითარების ვექტორი.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის მიერ შერჩეული საინფორმაციო არხები ეფექტიანია და **აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ დაწესებულების სრული სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა. აღნიშნული სახელწოდება ფიქსირდება ყველა ოფიციალურ დოკუმენტში, წარმოდგენილი დოკუმენტების (მაგ: ბრძანება N2/39, 13.09.2024 და პედაგოგიური საბჭოს ოქმი N6, 09.09.2024) ტიტულში მკაფიოდ არის მითითებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა — „საჯარო სამართლის იურიდიული პირი“, რაც სრულ თანხვედრაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ

მოთხოვნებთან. სახელწოდებაში გამოყენებული ტერმინი „საჯარო სკოლა“ ასახავს დაწესებულების სტატუსს. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო სკოლა არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას. სახელწოდება მოიცავს მუნიციპალიტეტისა და სოფლის დასახელებას („ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის...“), რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მკაფიო იდენტიფიცირებას და შეესაბამება საჯარო სკოლების სახელწოდების ფორმირების საერთო წესს.

სკოლის სახელწოდება არ შეიცავს შეცდომაში შემყვან ტერმინებს ან ისეთ სიტყვებს, რომლებიც არ შეესაბამება მის რეალურ სტატუსს. სახელწოდება სრულად ასახავს დაწესებულების დანიშნულებას, სამართლებრივ ფორმასა და დაფინანსების წყაროს (საჯარო).

ამრიგად, ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და მოქმედ კანონმდებლობასთან შეჯერების საფუძველზე, დასტურდება, რომ სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N05 (02.09.2025);*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N2/39/ (13.09.2024);*
- *სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N01 (16.09.2024);*
- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ, ოქმი N6, 09.09.2024);*
- *სსიპ ჩოხატაურის მუწიციპალიტეტის სოფელ კოხარის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მშობელთა კრების ოქმი N1, 16.09.25;*
- *საჯარო რეესტრის ამონაწერი;*
- *სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლას აქვს დოკუმენტირებული და პრაქტიკაში დანერგილი „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“ (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ, ოქმი N6, 09.09.2024). მეთოდოლოგია განსაზღვრავს გეგმების სტრუქტურას, ვადებს (7-წლიანი და 1-წლიანი), მონიტორინგის წესსა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებს.

მეთოდოლოგიის მე-8 და მე-9 პუნქტები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული გეგმის პროექტის პრეზენტაცია უნდა მოხდეს საჯაროდ, რის შესახებაც ინფორმაცია ვრცელდება ერთი კვირით ადრე. დოკუმენტის მიხედვით, „განხილვას უნდა დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი“, რაც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმს.

სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (N01, 16.09.2024) ადასტურებს, რომ დაგეგმვის პროცესი დაეყრდნო სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზს. ოქმში აღნიშნულია, რომ „სამუშაო გაიწია სკოლის პრობლემების აღწერის მიზნით“, რაც მიუთითებს პრიორიტეტების რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებაზე.

სასკოლო საზოგადოების ინტერესების დაცვის გარანტიაა თავად სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N2/39, 13.09.2024). ჯგუფში შედიან სხვადასხვა კათედრის მასწავლებლები და, რაც მთავარია, ყველა საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მშობელთა წარმომადგენლები. ეს უზრუნველყოფს, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია ყველა ტიპის ბენეფიციარის ინტერესი.

მეთოდოლოგიის მე-11 პუნქტი ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის შესრულების ყოველწლიურ შეფასებას თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. ეს მექანიზმი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, ირეაგიროს საზოგადოების შეცვლილ საჭიროებებზე და შეიტანოს კორექტივები გეგმებში.

ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე, დასტურდება, რომ სკოლას აქვს მყარი მეთოდოლოგიური საფუძველი სტრატეგიული დაგეგმვისთვის. მეთოდოლოგია ეფექტურად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის განვითარების პროცესის დემოკრატიულობასა და შედეგიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება სისტემურ მიდგომას. სკოლას აქვს დოკუმენტირებული მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს გეგმის ხანგრძლივობას, სტრუქტურასა და მისიასთან კავშირს. სკოლის „სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის“ მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ „სკოლა შეიმუშავებს 7-წლიან სტრატეგიულ გეგმას“. დაგეგმვის ციკლურობას ადასტურებს ამავე დოკუმენტის 1.2. პუნქტი, რომლებშიც მითითებულია, რომ მეთოდოლოგია შექმნილია არაერთგზისი გამოყენებისათვის და სკოლა მასზე დაყრდნობით „ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის“ გეგმავს, უწევს მონიტორინგს და აფასებს.

მეთოდოლოგიის მე-2 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა არის სკოლის მისიიდან გამომდინარე პროცესი. სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის ოქმი N01 (16.09.2024) ადასტურებს, რომ ჯგუფმა იმსჯელა სკოლის პრიორიტეტებზე სწორედ მისიისა და ხედვის კონტექსტში, რათა სტრატეგიული მიმართულებები ყოფილიყო სკოლის ღირებულებების გამტარებელი. სტრატეგიული გეგმის პროექტის განხილვისას (ოქმი N01) ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩამოყალიბდა სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ამოცანების ინდიკატორები. ოქმი N01-ის მიხედვით, სტრატეგიული მიზნების დასახვას

წინ უძღოდა სუსტი და ძლიერი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების ანალიზი. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ მიზნები არ არის აბსტრაქტული და ისინი ეფუძნება სკოლის რეალურ საჭიროებებსა და მისიაში დეკლარირებულ მისწრაფებებს.

სკოლაში არსებული დაგეგმარების მოდელი სრულად უპასუხებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის პრინციპებს. მეთოდოლოგიაში გაწერილი 7-წლიანი პერიოდი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, დასახოს გრძელვადიანი ხედვა, ხოლო მისიასთან თავსებადი ამოცანები უზრუნველყოფს ამ ხედვის პრაქტიკულ მიღწევადობას.

ამრიგად, წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალების (მეთოდოლოგია, ოქმები, ბრძანებები) ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და სრულად ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. მასში დაცულია ლოგიკური ჯაჭვი მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს შორის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და მოიცავს 2025-2026 სასწავლო წელს. დოკუმენტი დეტალურად აღწერს აქტივობებს თვეების მიხედვით (IX-დან VI თვის ჩათვლით), რაც ადასტურებს მის ყოველწლიურ ხასიათს. მეთოდოლოგიური დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი სავალდებულო პროდუქტი სწორედ 1-წლიანი სამოქმედო გეგმაა.

სკოლას გააჩნია 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გათვლილია 2024-2031 წლებზე. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში დასახული მიზნების მიღწევის კონკრეტულ ინსტრუმენტს. დაგეგმვის მეთოდოლოგიაში პირდაპირაა მითითებული, რომ პედაგოგიური საბჭო ერთწლიან სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს სწორედ სტრატეგიული გეგმის საფუძველზე. სტრატეგიული გეგმის პროექტი მოიცავს სტრატეგიულ მიმართულებებს, ინდიკატორებსა და განხორციელების გზებს, რაც ასახულია სამოქმედო გეგმის აქტივობებში.

სტრატეგიული გეგმის შესრულება ფასდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიის განხორციელების ანგარიში თან ერთვის სკოლის თვითშეფასების ანგარიშს. სტრატეგიული გეგმის გადახედვა ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ, რაც გულისხმობს თვითშეფასების შედეგების გათვალისწინებას მომდევნო წლის დაგეგმარებისას.

ამრიგად, სკოლაში არსებული დაგეგმვის სისტემა არის თანმიმდევრული: გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა (7 წელი) გარდაიქმნება კონკრეტულ ყოველწლიურ ნაბიჯებად (1-წლიანი სამოქმედო გეგმა), რომელთა კორექტირება და მონიტორინგი რეგულარული თვითშეფასების საფუძველზე ხორციელდება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან (2024-2031 წწ.). დოკუმენტში აქტივობები დაჯგუფებულია სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით, როგორიცაა:

სკოლის ორგანიზაციული განვითარება;

სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

მატერიალური გარემოს გაუმჯობესება.

მაგალითად, სამოქმედო გეგმის 5.2 პუნქტი (პედაგოგთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა) ეხმიანება სტრატეგიული გეგმის ამოცანას — მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ. გეგმაში თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები, რომლებიც იძლევა პროგრესის შეფასების საშუალებას. ინდიკატორები ჩამოყალიბებულია კონკრეტული შედეგების სახით (მაგ: სამუშაო შეხვედრების ოქმები, რეფლექსიები). ეს მონიტორინგის ჯგუფს საშუალებას აძლევს, ფაქტობრივი მტკიცებულებებით დაადასტუროს აქტივობის შესრულება.

სამოქმედო გეგმა გაწერილია 2025-2026 სასწავლო წლის 10 თვეზე (სექტემბრიდან ივნისის ჩათვლით). აქტივობები დიფერენცირებულია თვეების მიხედვით (ნიშნულები: IX, X, XI და ა.შ.). ვადები ლოგიკურადაა განაწილებული — მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება (1.1) გათვალისწინებულია სექტემბერში, რაც სასწავლო პროცესის ციკლს შეესაბამება.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გამიჯნული პასუხისმგებლობები. პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულნი არიან: დირექტორი, საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო და სამეურვეო საბჭო. ეს მიუთითებს მართვის დემოკრატიულ პრინციპსა და ფუნქციების ადეკვატურ გადანაწილებაზე.

გეგმაში თითოეული აქტივობის გასწვრივ მითითებულია საჭირო რესურსი. სკოლა ეყრდნობა როგორც ადამიანურ (პედაგოგები, ფასილიტატორები), ისე მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს (სკოლის ბიუჯეტი, TPDC-ის პლატფორმები).

ვინაიდან რესურსების უმეტესობა შიდაა (არსებული ადამიანური რესურსი) ან სახელმწიფო პროგრამებზე დაფუძნებული, გეგმის შესრულება მიჩნეულია მაღალი ხარისხით რეალისტურად.

ამრიგად, სსიპ სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტს. იგი არის სტრუქტურირებული, მიზნობრივი, რესურსით ზურგგამაგრებული და დროში ადეკვატურად განაწილებული დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული გეგმა;*
- *სამომედო გეგმა;*
- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ, ოქმი N6, 09.09.2024);*
- *პედაგოგიური საბჭოს მიერ, ოქმი N6, 09.09.2024;*
- *სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (N01, 16.09.2024);*
- *დირექტორის ბრძანება (N2/39, 13.09.2024).*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მკაფიოდ განსაზღვრავს გეგმების შესრულების კონტროლის მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მე-11 პუნქტის თანახმად („სტრატეგიული გეგმის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი“), მიზნების შესრულების ფასდება ყოველწლიურად. პროცესი ინტეგრირებულია სკოლის თვითშეფასების საერთო ციკლში. მეთოდოლოგია ადგენს, რომ სტრატეგიის განხორციელების ანგარიში სავალდებულო წესით თან ერთვის სკოლის თვითშეფასების ანგარიშს, რაც უზრუნველყოფს მონიტორინგის უწყვეტობას.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს მართვის ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას შეფასების პროცესში. მეთოდოლოგიის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმის პროექტის საჯარო განხილვას პედაგოგიურ საბჭოზე, სადაც ინფორმაცია ერთი კვირით ადრე ვრცელდება. შეფასების პროცესი არ არის მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათის; ის

ეფუძნება თანამშრომლობით განხილვებს, რაც ზრდის ობიექტურობას და საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს ხარვეზები დაგეგმვის ეტაპზევე.

სტანდარტის მიხედვით, მონიტორინგი უნდა ემსახურებოდეს გეგმის გაუმჯობესებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების მომზადება. მეთოდოლოგიის მე-4 პუნქტი („სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები") მოიცავს არსებული მდგომარეობის ანალიზს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო ციკლი ეფუძნება წინა პერიოდის შეფასების შედეგებს.

მონიტორინგის ეფექტურობას განაპირობებს სამოქმედო გეგმაში არსებული ინდიკატორები. 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობისთვის გაწერილია კონკრეტული ინდიკატორი. ეს მატერიალური მტკიცებულებები წარმოადგენს მონიტორინგის ჯგუფისთვის ვალიდურ წყაროს იმის დასადასტურებლად, შესრულდა თუ არა დათქმული ამოცანა.

ამრიგად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ნამდვილად მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ქმედით მექანიზმებს. სისტემა აგებულია ციკლურ პრინციპზე, რაც გულისხმობს გეგმის შესრულების პერიოდულ შემოწმებას, დოკუმენტურ დასაბუთებას და მიღებული შედეგების საფუძველზე შემდგომი განვითარების დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია ადასტურებს, რომ მონიტორინგი არ არის ფორმალური ხასიათისა და იგი ინტეგრირებულია სკოლის მართვის ციკლში. მეთოდოლოგიის მე-11 პუნქტი ადგენს, რომ „სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში". სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული ინდიკატორები (მაგ: 5.4 პუნქტში მითითებული მასწავლებელთა რეფლექსიები და სამუშაო შეხვედრების ოქმები) იძლევა ობიექტური მონიტორინგის საშუალებას, რაც მეთოდოლოგიის 1.2 პუნქტის მოთხოვნაა.

დოკუმენტებში მკაფიოდ ჩანს, რომ დაგეგმვისა და შეფასების პროცესი ეფუძნება კოლეგიალურობასა და გამჭვირვალობას. მეთოდოლოგიის მე-8 პუნქტით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია ხდება პედაგოგიურ საბჭოზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია ერთი კვირით ადრე საჯაროდ ვრცელდება და განხილვას უნდა დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი. პასუხისმგებელ პირებად ადმინისტრაციასთან ერთად განსაზღვრულია სამეურვეო საბჭო და

პედაგოგიური საბჭო (იხ. სამოქმედო გეგმის 1.1 პუნქტი). ეს ნიშნავს, რომ შეფასების პროცესში ჩართულია როგორც მასწავლებელთა კორპუსი, ისე მშობელთა საზოგადოება, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ უკუკავშირს.

სკოლა იყენებს შეფასების შედეგებს გეგმების გასაუმჯობესებლად. მეთოდოლოგიის 11-ე პუნქტი ითვალისწინებს მონიტორინგის საფუძველზე ცვლილებების მომზადებას. სამოქმედო გეგმაში აქტივობების შინაარსი (მაგ: 5.5 - „სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება/სადისკუსიო შეხვედრები/განხილვა“) მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში არსებობს პროფესიული დიალოგის კულტურა. კათედრებისა და მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები წარმოადგენს იმ მექანიზმს, სადაც გროვდება უკუკავშირი და აქტივობები კორექტირდება საჭიროებისამებრ.

სამოქმედო გეგმის რესურსების სვეტში მითითებულია თანამშრომლობა გარე აქტორებთან, როგორიცაა TPDC (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) და მოწვეული ფასილიტატორები. გარე სისტემური აქტორების ჩართულობა და მათი პლატფორმების გამოყენება (მაგ. ელექტრონული პლატფორმები) ადასტურებს, რომ სკოლა საკუთარ საქმიანობას აფასებს არა იზოლირებულად, არამედ საერთო საგანმანათლებლო სტანდარტებთან მიმართებით.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ დაგეგმარების მეთოდოლოგია სრულად მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. პროცესი არის ინკლუზიური, ეფუძნება სასკოლო საზოგადოების (პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები) უკუკავშირს და ითვალისწინებს სისტემურ დონეზე არსებულ მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია ადგენს მკაფიო ვალდებულებას დოკუმენტების საჯაროობასთან დაკავშირებით. მეთოდოლოგიის მე-9 პუნქტის თანახმად („სტრატეგიული გეგმის დამტკიცება“), დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ გეგმა საჯაროდ გამოქვეყნდება საჯარო სივრცეში, სკოლის ფოიეში. რითიც დასტურდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა ფიზიკურ სივრცეში და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეების, მშობლების) ინფორმირებულობას.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს არა მხოლოდ გეგმების, არამედ მათი შესრულების ანგარიშების გამჭვირვალობას. მეთოდოლოგიის მე-11 პუნქტი განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში თან ერთვის სკოლის თვითშეფასების ანგარიშს. ვინაიდან სკოლის თვითშეფასება არის პროცესი, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა ჯგუფების (მასწავლებლები, მშობლები) ჩართულობას, მისი ანგარიშის წარდგენა პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე ავტომატურად ნიშნავს განხორციელებული საქმიანობის შედეგების გასაჯაროებას დაინტერესებული მხარეებისთვის.

სკოლა იყენებს სხვადასხვა პლატფორმას შედეგების კომუნიკაციისთვის. სამოქმედო გეგმაში (პუნქტი 1.1 და 1.2) პასუხისმგებელ პირებად მითითებულნი არიან დირექცია და სტრუქტურული ერთეულები, ხოლო რესურსებში ნახსენებია ელექტრონული პლატფორმები. სტრატეგიული გეგმის პროექტის საჯარო პრეზენტაცია (მეთოდოლოგიის მე-8 პუნქტი), რომლის შესახებაც ინფორმაცია ერთი კვირით ადრე ვრცელდება, მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა იყენებს საინფორმაციო არხებს საზოგადოების მოსაწვევად. განხორციელების შედეგების საჯაროობა გარანტირებულია იმით, რომ მონიტორინგის შედეგები განიხილება პედსაბჭოზე, სადაც ოქმების სახით ფიქსირდება მიღწეული პროგრესი.

მეთოდოლოგიის 1.1 პუნქტით, დოკუმენტის მიზანია, აღწეროს არა მხოლოდ დაგეგმვა, არამედ შეფასების საჯარო მიდგომები. სკოლის სტრატეგიული გეგმის ფიზიკური განთავსება ფოიეში და ანგარიშების წარდგენა მართვის ორგანოებისთვის ქმნის ერთიან სისტემას, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს დაგეგმილსა და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოს შორის შესაბამისობას.

ამრიგად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კოხნარის საჯარო სკოლაში სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არის საჯარო. სკოლა იყენებს როგორც ფიზიკურ (საინფორმაციო დაფა ფოიეში), ისე ადმინისტრაციულ (საბჭოებზე პრეზენტაცია/განხილვა) გზებს დოკუმენტებისა და ანგარიშების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მეთოდოლოგია ადგენს პირდაპირ კავშირს წარსულ გამოცდილებასა და მომავალ მიზნებს შორის. მეთოდოლოგიის მე-4 პუნქტში („სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპები“), პირველ ეტაპად განსაზღვრულია არსებული მდგომარეობის ანალიზი (SWOT ანალიზი). SWOT ანალიზის არსებობა სტრატეგიულ გეგმაში მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა მომავალ 7 წელს (2024-2031 წწ.) გეგმავს არა აბსტრაქტულად, არამედ წინა პერიოდის მიღწევებისა და გამოწვევების გათვალისწინებით. ეს უზრუნველყოფს განვითარების უწყვეტობას.

სკოლაში დანერგილია მექანიზმი, სადაც ერთი წლის შედეგი ხდება მეორე წლის დაგეგმვის საფუძველი. მეთოდოლოგიის მე-11 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად და თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. ვინაიდან თვითშეფასების ანგარიში არის მთავარი დოკუმენტი, რომლითაც სკოლა იდენტიფიცირებს საჭიროებებს, მასში სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების ასახვა ნიშნავს, რომ გამოკვეთილი ხარვეზები პირდაპირ აისახება

მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ეს ქმნის ხარისხის განვითარების ციკლს (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე).

2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში გამოყენებულია კონკრეტული ინდიკატორები (მაგ: 5.5 პუნქტში - კათედრის ოქმები, სამუშაო შეხვედრების ოქმები). ამ ინდიკატორების საშუალებით მიღებული მონაცემები (მაგალითად, მასწავლებელთა რეფლექსიები) სკოლას აძლევს საშუალებას, დაინახოს, რომელი მიდგომა მუშაობს და რომელი არა. მეთოდოლოგიის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების მომზადების შესაძლებლობა ადასტურებს, რომ სკოლა მზად არის, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მოახდინოს სტრატეგიის კორექტირება უკეთესი შედეგისთვის.

სტრატეგიული გეგმა (2024-2031) მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ტექნოლოგიური განვითარება. სამოქმედო გეგმაში ამ მიზნების ეტაპობრივი ასახვა (მაგ: საქმისწარმოების სისტემის მოწესრიგება, 1.2 პუნქტი) აჩვენებს, რომ სკოლა გრძელვადიან ხედვას აქცევს მოკლევადიან, მიღწევად ნაბიჯებად. ყოველი შესრულებული ეტაპი საფუძველს უქმნის შემდეგ, უფრო რთულ ეტაპს.

ამრიგად, სსიპ - სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში აშკარად იკვეთება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. დაგეგმარების პროცესი არ არის ერთჯერადი აქტი; იგი წარმოადგენს დინამიკურ ციკლს, რომელშიც მონიტორინგის შედეგები და თვითშეფასების მიგნებები ხდება ახალი სამოქმედო გეგმების შედგენისა და სტრატეგიული ხედვის დახვეწის მთავარი წყარო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული გეგმა;*
- *სამომედო გეგმა;*
- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ, ოქმი N6, 09.09.2024).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და რეგულაციებით.

სკოლას აქვს დამტკიცებული დოკუმენტი „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-67 ბრძანებით), რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გამჭვირვალობას. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამეურვეო საბჭოს ფორმირების წესი, შემადგენლობა (6 წევრი) და უფლებამოსილების ვადა (3 წელი). მკაფიოდ არის გამიჯნული საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები, რომელიც წარმოადგენს სკოლას დირექტორთან ურთიერთობებში და წარმართავს სხდომებს. კანცელარიის ფუნქციებში ზუსტად არის გაწერილი საქმისწარმოების ყველა ეტაპი: დოკუმენტების ბეჭდვა, აღრიცხვა, არქივირება და საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა. კანცელარია ასევე პასუხისმგებელია მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეესტრის წარმოებაზე, რაც აკონკრეტებს ერთეულის პასუხისმგებლობის სფეროს.

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (დამტკიცებული 2024 წლის 9 სექტემბერს), რომელიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის ძირითად ასპექტებს. პერსონალის შერჩევის პროცესი ეფუძნება მკაფიო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ შორის საგნობრივ კომპეტენციასა და აკადემიურ ხარისხს. სკოლა იცავს თანაბარი მოპყრობის პრინციპსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს, რაც ასახულია ვაკანსიის გამოცხადების პირობებში.

ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები (მაგ: უფროსი და წამყვანი მასწავლებლებისათვის) მკაფიოდ განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სამუშაო პირობებსა და ურთიერთობის სამართლებრივ საფუძვლებს. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ფუნქციურ სიცხადეს.

ამრიგად, ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. არსებობს იერარქიული და ფუნქციური დაყოფა, რომელიც გამყარებულია შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას აქვს დამტკიცებული დოკუმენტი „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები“, რომელიც აწესრიგებს ისეთი რგოლების მუშაობას, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები და ადმინისტრაციული ერთეულები.

სტრუქტურაში კათედრების არსებობა (ქართული ენის, უცხოური ენის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და სხვ.) უზრუნველყოფს საგნობრივი სწავლების ხარისხის კონტროლს, გამოცდილების გაზიარებასა და მეთოდოლოგიურ განვითარებას, რაც საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანობის წინაპირობაა.

კანცელარია და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ზრუნავენ სასწავლო გარემოსა და დოკუმენტბრუნვაზე (მათ შორის რეესტრის წარმოებასა და არქივირებაზე)

სამეურვეო საბჭოსა და დირექტორის ფუნქციების გამიჯვნა ხელს უწყობს გამჭვირვალე მართვასა და სტრატეგიულ დაგეგმვას.

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროცესში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები (მაგ: უფროსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსით), რაც აისახება სწავლის ხარისხზე.

ამდენად, სკოლის სტრუქტურის თითოეული ერთეული (დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კლუბები) ავსებს საგანმანათლებლო გარემოს და ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას. ფუნქციების მკაფიო განაწილება გამორიცხავს საქმიანობის დუბლირებას და ზრდის ინსტიტუციურ მდგრადობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *სასურველია, პროფესიული განვითარების ინდივიდუალიზაცია. კერძოდ, HR პოლიტიკაში მეტი აქცენტი გაკეთდეს არაპედაგოგიური პერსონალის (ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი) პროფესიულ გადამზადებაზე, რათა მათი საქმიანობა კიდევ უფრო მეტად შეესაბამებოდეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *„ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-67 ბრძანებით);*
- *„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (დამტკიცებული 2024 წლის 9 სექტემბერს);*
- *შრომითი ხელშეკრულებები.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს HR პროცესების ძირითად ასპექტებს. არსებობს დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-67 ბრძანებით დამტკიცებული „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები“, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების მკაფიო გადანაწილებას. სკოლის მართვაში აქტიურად მონაწილეობს სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება 6 არჩეული წევრისგან (მშობლები და პედაგოგები თანაბარი რაოდენობით).

სკოლა იცავს ღია კონკურსის პრინციპს. მაგალითად, მუსიკის მასწავლებლის ვაკანსიაზე გამოიცა ბრძანება (23.08.2024, N 2/22) კონკურსის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ.

პერსონალის შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობს მკაფიოდ გაწერილი კრიტერიუმებით (მაგ. ფიზიკის მასწავლებლისთვის სავალდებულოა სერტიფიცირება ან შესაბამისი აკადემიური ხარისხი). შერჩევა ხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ, რაც დასტურდება ოქმებით. კომისია აფასებს კანდიდატთა პროფესიულ ცოდნას, კომუნიკაციისა და დაგეგმვის უნარებს.

შრომითი ურთიერთობის დაწყება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

სკოლა აფორმებს წერილობით შრომით ხელშეკრულებებს, რომლებიც ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსს და „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას“. ხელშეკრულებაში დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, შრომის ანაზღაურება და სამუშაო დრო. დადგენილია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები, მათ შორის ხანგრძლივი შრომისუუნარობის (40 კალენდარული დღე ზედიზედ) ან კვალიფიკაციის დაუდასტურებლობის შემთხვევებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: *საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში ნახსენებია მონაცემთა დაცვის ვალდებულება, თუმცა სასურველია HR პოლიტიკაში უფრო დეტალურად გაიწეროს კანდიდატთა მონაცემების შენახვისა და განადგურების ვადები კონკურსის დასრულების შემდეგ.*

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის მიერ წარმოდგენილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (მუხლი 1 და 2) ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს HR პროცესების სტრატეგიული მნიშვნელობა. ვაკანსიების გამოცხადების პროცესი (მაგ. მუსიკის მასწავლებლის ვაკანტური საათები, ბრძანება N 2/22) მიუთითებს იმაზე, რომ პერსონალის შერჩევა ხდება კონკრეტული სასწავლო საჭიროებიდან გამომდინარე.

სკოლას მკაფიოდ აქვს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგ. ფიზიკის მასწავლებლისთვის), რაც წარმოადგენს პრევენციულ მექანიზმს დაბალი კვალიფიკაციის კადრის სისტემაში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად.

შრომით ხელშეკრულებებში (მუხლი 12.4.2) მითითებული პუნქტი „სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების“ შესახებ ემსახურება სკოლაში უსაფრთხო და ეთიკური გარემოს პრევენციულ დაცვას.

HR პოლიტიკის 21-ე მუხლი ითვალისწინებს წახალისების (პრემიის) მექანიზმებს, რაც პოზიტიური ინტერვენციის ფორმაა.

შრომითი ხელშეკრულებების პირობები (მაგ. ხანგრძლივი შრომისუუნარობისას ხელშეკრულების შეწყვეტის პირობა - ზედიზედ 40 დღე) მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას აქვს სამართლებრივი ბერკეტები პროცესების შეფერხების შემთხვევაში ინტერვენციისთვის.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში მოქმედებს პერსონალის შერჩევის გამჭვირვალე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის პრინციპების დაცვით.

სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და „საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, სადაც დეტალურადაა გაწერილი კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები. დოკუმენტაციაში ხაზგასმულია, რომ სკოლა იცავს თანაბარი მოპყრობის პრინციპს და მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პერსონალი მოიზიდება ღია კონკურსის გზით. მტკიცებულებად წარმოდგენილია დირექტორის 23.08.2024-ის N2/22 ბრძანება, რომლითაც გამოცხადდა კონკურსი მუსიკის მასწავლებლის ვაკანსიაზე, განისაზღვრა ვადები და პირობები.

შერჩევის პროცესი ორეტაპიანია (საბუთების გადარჩევა და გასაუბრება) და მას წარმართავს სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისია. წარმოდგენილია კომისიის ოქმი (მაგ. 09.09.2024, N2), სადაც ფიქსირდება:

- კანდიდატების შეფასება კონკრეტული უნარების მიხედვით (პროფესიული ცოდნა, დაგეგმვის უნარი, კომუნიკაცია);
- გადაწყვეტილების მიღება ფარული კენჭისყრის საფუძველზე, რაც ობიექტურობის დამატებითი გარანტიაა.

შერჩეული კადრების კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. მაგალითად, ფიზიკის მასწავლებლისთვის მოთხოვნილია მინიმუმ უფროსი მასწავლებლის სტატუსი ან შესაბამისი აკადემიური ხარისხი, რაც დასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით.

სკოლაში დასამებული ყველა თანამშრომლის პირად საქმეში წარმოდგენილია ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლის პერსონალის შერჩევის პროცედურები არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. სკოლა ორიენტირებულია ისეთი კადრების დასაქმებაზე, რომლებიც აკმაყოფილებენ როგორც საკანონმდებლო მოთხოვნებს, ისე დაწესებულების სპეციფიკურ საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც სრულ თანხვედრაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან. მაგალითად, ფიზიკის მასწავლებლისთვის განსაზღვრულია ალტერნატიული გზები (სერტიფიცირება, მაგისტრის ხარისხი ან ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა), რაც უზრუნველყოფს კადრების შერჩევის მოქნილობას კანონის ფარგლებში.

შრომითი ხელშეკრულებები (მაგ. N5/02 და N5-06) მიუთითებს, რომ სკოლა ხელმძღვანელობს „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“. ხელშეკრულებებში დაფიქსირებულია მასწავლებელთა სტატუსი (მაგ. უფროსი მასწავლებელი), რაც პირდაპირ კავშირშია მათ კვალიფიკაციასთან.

წარმოდგენილია „კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი“ რომელშიც დეტალურადაა ასახული განათლება, სამეცნიერო ხარისხი და სამუშაო გამოცდილება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ახორციელებს პერსონალის კვალიფიკაციის სისტემურ დოკუმენტირებას.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სპეცმასწავლებელი. მასწავლებელთა ვაკანსიების ელექტრონული განაცხადების გვერდის (https://teacherjobs.ge) გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას, კვალიფიციური კადრის მოზიდვის მიზნით გამოცხადებული აქვს სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპისათვის აპლიკანტს აქვს განაცხადი შემოტანილი და კონკურსის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ შეირჩევა შესაბამისი კვალიფიციური კადრი. ვიზიტის დროისათვის სპეცმასწავლებლის არარსებობა პირობებში შეუძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯეროვანი შესრულება და მონიტორინგი.

აღსანიშნავია, რომ სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტს ვიზიტის დროს არ ემსახურებოდა პერსონალი, ნავარაუდევია, რომ მოემსახურება ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კონკურსი გამოცხადებული ჰქონდათ ექიმის პოზიციაზე, თუმცა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი'' ვერ მოიძებნა. სკოლამ იხელმძღვანელა კანონის შესაბამისად და აღნიშნულ პოზიციაზე მიიღებს ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირს. ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით. ვიზიტის დროისათვის ექიმის/ექთნის არყოფნა ნიშნავს, რომ სკოლა ვერ შეძლებს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას, მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, სკოლა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს. გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით სრულყოფილად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებულია ახალი საშტატო განრიგი ექთნის შტატით და მიმდინარე წლის 2026 წლის 01.04-დან სკოლის დირექტორის N1/კ-12 ბრძანებით აყვანილი ჰყავს ექთანი.
სკოლა მეტწილად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს. გააჩნია სრულყოფილად მოწყობილი რესურსოთახი პირველ სართულზე. ვინაიდან ახალი რეგულაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სკოლას მოუწია მოქმედი პრაქტიკოსი სპეცმასწავლებლის გათავისუფლება სამსახურიდან , მუდმივად აქვს ვაკანსია გამოცხადებული მასწავლებელთა ვაკანსიების ვებგვერდზე შესაბამისი კადრის მისაღებად და გეგმავს შესაბამისობაში მოყვანას არა უგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის სტრუქტურა ადასტურებს, რომ გადაწყვეტილების მიღება არ არის ერთპიროვნული. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება 6 არჩეული წევრისგან (მშობლები და პედაგოგები თანაბარი რაოდენობით). ეს უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობას სტრატეგიულ მართვაში.

პერსონალის შერჩევა ხდება საკონკურსო კომისიის მეშვეობით (მაგ. 09.09.2024-ის ოქმი N2). კომისიაში წარმოდგენილია 5 წევრი (მათ შორის მასწავლებლები და ადმინისტრაცია), რაც გუნდური შეფასების პრინციპის გამოყენებაზე მიუთითებს.

„სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილების“ დოკუმენტით განსაზღვრულია კანცელარიის, ბიბლიოთეკისა და სხვა რგოლების ურთიერთკავშირი, რაც საერთო საგანმანათლებლო მიზნის გარშემო გუნდის მობილიზებას ემსახურება.

HR პოლიტიკის 21-ე მუხლი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების (მათ შორის პრემიის) მექანიზმებს, რაც პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის ნაწილია და ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდას.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს მონაწილეობითი მართვის საფუძვლები. მართვის სტილი ორიენტირებულია გუნდურ გადაწყვეტილებებზე, რაც აისახება როგორც შერჩევის, ისე მართვის პროცესებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ 21-ე მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს პერსონალის წახალისების ფორმებს. კერძოდ, დოკუმენტში გაწერილია:

- მადლობის გამოცხადება;
- ერთჯერადი ფულადი ჯილდო (პრემია);
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.

ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას აქვს ფორმალური მექანიზმი წარმატებული საქმიანობის აღიარებისთვის.

შრომითი ხელშეკრულებები ეფუძნება „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას“. სკოლა აღიარებს მასწავლებლის სტატუსის ამაღლებას და შესაბამისად ახორციელებს შრომის ანაზღაურების კორექტირებას, რაც პროფესიული წარმატების აღიარების ერთ-ერთი ფორმაა.

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში (სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები) არსებული კოლეგიალური მართვის პრინციპი ქმნის პლატფორმას გამოცდილების გაზიარებისთვის. პედაგოგიური საბჭო არის ის სივრცე, სადაც ხდება საუკეთესო პრაქტიკის განხილვა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზებზე მსჯელობა.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას აქვს ფორმალური აღიარების მექანიზმი. თუმცა, გამოცდილების გაზიარების ნაწილი ეყრდნობა საერთო საკანონმდებლო მოთხოვნებს, შიდა რეგულაციებში საჭიროებს უფრო მეტ დეტალიზაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები;*
- *პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;*
- *პერსონალის პირადი საქმეები;*

- *კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას დოკუმენტურად გაწერილი აქვს პერსონალის მართვისა და განვითარების სისტემა, რაც დასტურდება შემდეგი ფაქტებით: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში გაწერილია, რომ დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა არის სამართლიანი და გამჭვირვალე. სკოლა ხელმძღვანელობს მონაწილეობის პრინციპით, რაც გულისხმობს პერსონალის სრულ ჩართულობას საკუთარი სამუშაოს შეფასების პროცესში.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი და გაკვეთილებზე დასწრება. ამ პროცესს ახორციელებს დირექცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც გასცემს განმავითარებელ შეფასებას.

სკოლის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. დოკუმენტაციაში ხაზგასმულია, რომ პროფესიული განვითარება ხდება ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით და სკოლა მუდმივად ზრუნავს ამ პროცესზე.

სამოქმედო გეგმის ინდიკატორებში მითითებულია მასწავლებელთა რეფლექსიები და სამუშაო შეხვედრების ოქმები, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია საკუთარი საქმიანობის ანალიზისა და საჭიროებების იდენტიფიცირების პრაქტიკა.

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, სკოლას აქვს ჩამოყალიბებული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ მხარდაჭერასა და ინდივიდუალურ ზრდაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, შემუშავდეს კონკრეტული კითხვარები ან რუბრიკები თვითშეფასებისა და კოლეგების შეფასებისთვის, რათა პროცესი უფრო ობიექტური და გაზომვადი გახდეს. ასევე, შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებები უფრო მკაფიოდ აისახოს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის ტრენინგებისა და აქტივობების ნაწილში.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-4 მუხლის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს მიუთითებს იმაზე, რომ განვითარების აქტივობები არ არის ზოგადი და ისინი პერსონალიზებულია.

სამოქმედო გეგმის 5.4 პუნქტში მითითებულია აქტივობა „მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, ანალიზი და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“. ამ აქტივობის ინდიკატორებად განსაზღვრულია მასწავლებელთა რეფლექსიები და სამუშაო შეხვედრების ოქმები. ეს ადასტურებს, რომ სკოლა ჯერ იკვლევს საჭიროებებს და მხოლოდ ამის შემდეგ გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს.

სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული მხარდაჭერის მექანიზმები (მაგ: 5.5 პუნქტი - სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება/განხილვა), რაც პირდაპირ უპასუხებს პედაგოგთა პროფესიულ ზრდას. რესურსებად მითითებულია როგორც შიდა კადრები (მენტორი/წამყვანი მასწავლებლები), ისე გარე რესურსები (TPDC, მოწვეული ტრენერები), რაც გეგმის რეალისტურობაზე მიუთითებს.

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის მონიტორინგი (სამოქმედო გეგმა, პუნქტი 2.1) ემსახურება არა მხოლოდ კონტროლს, არამედ განმავითარებელი უკუკავშირის გაცემას, რაც საფუძველია შემდგომი განვითარების გეგმებისათვის.

ამრიგად, სკოლაში პერსონალის განვითარების პროცესი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს. აშკარაა ლოგიკური ჯაჭვი: საჭიროების გამოვლენა (კვლევა/რეფლექსია) -> დაგეგმვა (სამოქმედო გეგმა) -> განხორციელება (ტრენინგები/სამუშაო შეხვედრები).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია, პერიოდულად (წელიწადში ერთხელ მაინც) ჩატარდეს ანონიმური ან ნახევრად ანონიმური გამოკითხვა პერსონალის საჭიროებების დასადგენად, რაც უფრო ობიექტურ სურათს წარმოაჩენს, ვიდრე მხოლოდ რეფლექსიები.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის დოკუმენტაციაში კარიერული ზრდის ხელშეწყობა წარმოდგენილია, როგორც სტრატეგიული პრიორიტეტი, რაც დასტურდება შემდეგი ფაქტებით:

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მე-4 მუხლში გაწერილია, რომ სკოლა ხელს უწყობს დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებას. სამოქმედო გეგმის 5.4 პუნქტი კი მიუთითებს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევასა და განვითარებაზე, რაც კარიერული წინსვლის (სტატუსის ცვლილების) აუცილებელი წინაპირობაა.
- სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელ პირებად ხშირად არიან მითითებულნი „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი“ და „საგნობრივი კათედრები“. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა წამყვან და მენტორ მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას, იტვირთონ ლიდერული ფუნქციები, რაც კარიერული ზრდის ერთ-ერთი ფორმაა (ჰორიზონტალური ზრდა).
- HR პოლიტიკის მე-20 მუხლი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების ფორმებს, მათ შორის მადლობის გამოცხადებასა და ფულად ჯილდოს (პრემიას). ეს მექანიზმები ქმნის მოტივაციას თანამშრომლებისთვის, რათა მათ მიაღწიონ უკეთეს პროფესიულ შედეგებს;
- სამოქმედო გეგმის 5.5 პუნქტი (სადისკუსიო შეხვედრები, გაკვეთილების განხილვა) ადასტურებს, რომ სკოლა ქმნის გარემოს, რომელშიც პერსონალს შეუძლია საკუთარი კომპეტენციების დემონსტრირება და კოლეგიალური აღიარების მოპოვება, რაც კარიერული თვითრეალიზაციის ნაწილია.

ამრიგად, სკოლაში პერსონალის კარიერული ზრდის ხელშეწყობა აშკარაა და დოკუმენტურად გამყარებული. დაწესებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული მხარდაჭერით, არამედ ქმნის პრაქტიკულ შესაძლებლობებს პედაგოგთა პროფესიული წინსვლისა და ლიდერული უნარების გამოვლენისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებობს ახალი თანამშრომლების მიღებისა და გარემოსთან შეგუების გარკვეული სისტემა:

- სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოს გაცნობა: „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-17 მუხლის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლის ინფორმირებას მისი უფლება-მოვალეობების, შრომის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსისა და უსაფრთხოების წესების შესახებ. ეს არის ინტეგრაციის საწყისი და აუცილებელი ეტაპი;
- დოკუმენტური უზრუნველყოფა: სამოქმედო გეგმის 1.3 პუნქტი ითვალისწინებს მასწავლებლებთან და თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლის სამართლებრივ გარანტიებს და მკაფიოდ განსაზღვრავს მის ადგილს სკოლის სტრუქტურაში;
- კოლეგიალური მხარდაჭერა და გუნდური მუშაობა: სამოქმედო გეგმაში (პუნქტი 5.5) გაწერილია სადისკუსიო შეხვედრები და გაკვეთილების განხილვები, სადაც პასუხისმგებელ პირებად მითითებულია „დირექცია და საგნობრივი კათედრები“. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს ახალი პედაგოგების სოციალიზაციას და პროფესიულ ინტეგრაციას კოლეგებთან ურთიერთობის გზით;
- ორგანიზაციული კულტურა: HR პოლიტიკის დოკუმენტში ხაზგასმულია თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპი, რაც ქმნის პოზიტიურ ფონს ახალი კადრების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისთვის.

ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან ძირითადად ადმინისტრაციული და კოლეგიალური მხარდაჭერის გზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

დაწესებულებაში არსებობს ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების კულტურა:

- მატერიალური და მორალური სტიმულირება: „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-20 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს პერსონალის წახალისების სისტემა, რომელიც მოიცავს მადლობის გამოცხადებას, სიგელით დაჯილდოებასა და ფულად ჯილდოს (პრემიას). ეს მექანიზმი დაკავშირებულია თანამშრომლის მიერ გამოჩენილ ინიციატივასთან და პროფესიულ მიღწევებთან;
- გამოცდილების გაზიარების წახალისება: სამოქმედო გეგმის 5.5 პუნქტი ითვალისწინებს „სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზებასა და სადისკუსიო შეხვედრებს“. მასში პასუხისმგებელ პირებად მითითებულნი არიან

საგნობრივი კათედრები და მხარდაჭერის ჯგუფები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა წაახალისებს პედაგოგების ინიციატივას, გაუზიარონ კოლეგებს საკუთარი მიგნებები და ინოვაციური მიდგომები;

- რესურსული მხარდაჭერა: სამოქმედო გეგმის მე-5 თავში რესურსებად მითითებულია „ელექტრონული პლატფორმები, TPDC და მოწვეული ტრენერები“. სკოლა მზადყოფნას გამოთქვამს, ინიციატივიან თანამშრომლებს მიაწოდოს საჭირო რესურსები (როგორც ადამიანური, ისე ტექნიკური) მათი პროფესიული იდეების განსახორციელებლად;
- მონაწილეობითი მართვა: HR პოლიტიკაში დეკლარირებული მონაწილეობის პრინციპი გულისხმობს პერსონალის ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც თავისთავად წარმოადგენს ინიციატივების წახალისების ხელსაყრელ გარემოს.

ამრიგად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია. სკოლას აქვს როგორც ფორმალური (პრემია, მადლობა), ისე შინაარსობრივი (სადისკუსიო სივრცეები, კათედრალური მუშაობა) ბერკეტები თანამშრომელთა აქტივობის სტიმულირებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 09 სექტემბრის N 06 - ის სხდომაზე)*
- *სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის განვითარების სამოქმედო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ხარისხის მართვის სფეროს, რომელიც მოიცავს სწავლა-სწავლებას, სასწავლო გარემოსა და პროცესის მართვას. ხარისხის უზრუნველყოფა განისაზღვრება, როგორც დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების აქტივობების ერთობლიობა. პოლიტიკა ორიენტირებულია მუდმივ განვითარებასა და სტანდარტებთან შესაბამისობაზე, რაც დასტურდება იმით, რომ მექანიზმის მიზანია სწავლების ხარისხის სისტემატური მონიტორინგი და სრულყოფა.

დოკუმენტაციაში იკვეთება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე) ელემენტები: სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და პროგრამების სისტემატურ გადახედვას. შიდა შეფასება მიმართულია სუსტი მხარეებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლა იყენებს კონფიდენციალურ გამოკითხვებსა და ანალიზს ხარისხის შესაფასებლად. ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში სკოლა შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ეფექტურობისათვის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გასაუმჯობესებლად.

მართვის პროცესი ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებსა და სტრუქტურულ გადანაწილებას: სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგებისგან (6 წევრი), რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. საბჭო ამტკიცებს ბიუჯეტს, შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას.

სკოლას აქვს „განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა, რომელიც მართვის პროცესში ხარვეზების აღმოჩენის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა შესაბამისია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა. პროცესები ეფუძნება ხარისხის ციკლს, რომელშიც შიდა შეფასების შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში იდენტიფიცირებული და აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ფუნქციონირების გამჭვირვალობასა და სტრუქტურულ გამართულობას.

- მმართველობითი პროცესები: დოკუმენტში „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება“ მკაფიოდ არის განსაზღვრული მმართველი რგოლების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დირექცია) ფუნქციები. მმართველობითი პროცესი ეფუძნება უფლებამოსილებების დელეგირებას. მაგალითად, სამეურვეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ბიუჯეტსა და შინაგანაწესზე, ხოლო დირექტორი უზრუნველყოფს სკოლის საერთო ხელმძღვანელობასა და კადრების მართვას. ეს მიუთითებს მართვის პროცესის იერარქიულ და ფუნქციურ გამიჯვნაზე.
- ძირითადი (საგანმანათლებლო) პროცესები: „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ ფოკუსირებულია სწავლა-სწავლების ხარისხზე, სასკოლო სასწავლო გეგმის რევიზიასა და აკადემიური მიღწევების მონიტორინგზე. ძირითადი პროცესი (სწავლება) აღწერილია როგორც ციკლური მოქმედება, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას. პედაგოგიური საბჭო იდენტიფიცირებულია, როგორც ძირითადი ორგანო, რომელიც ამტკიცებს სასწავლო გეგმებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებს.
- დამხმარე პროცესები: იდენტიფიცირებულია კანცელარიის, ბიბლიოთეკის, ექიმის, ისტ მენეჯერისა და სხვა დამხმარე რგოლების ფუნქციები. განსაკუთრებით დეტალურად არის გაწერილი „შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა“. დამხმარე პროცესები (დოკუმენტბრუნვა, მატერიალური რესურსების მართვა, სამედიცინო მომსახურება)

მხარს უჭერს ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ მიმდინარეობას. საჩივრების მართვის მექანიზმი კი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამხმარე პროცესს ხარვეზების იდენტიფიცირებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის გამჭვირვალე სისტემა.

- სამართლებრივი მოწესრიგება და ხელმისაწვდომობა - სკოლას გააჩნია სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს საჩივრების განხილვის ეტაპებს. სისტემის არსებობა არ არის ფორმალური; დოკუმენტი მიზნად ისახავს მართვის პროცესში არსებული ხარვეზების აღმოჩენასა და აღმოფხვრას, რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე, გამოიყენოს საჩივრები ხარისხის განვითარების ინსტრუმენტად.
- პროცესის ეტაპები და ვადები - საჩივრის განხილვის პროცედურა მოიცავს რამდენიმე მკაფიო ფაზას: საჩივრის რეგისტრაცია კანცელარიაში, უფლებამოსილი პირის/კომისიის მიერ საკითხის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება. დოკუმენტი უზრუნველყოფს მხარეთა ინტერესების დაცვას, რადგან განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და საქმისწარმოების წესი, რაც გამორიცხავს სუბიექტურობას და აძლიერებს ნდობას სასკოლო საზოგადოებაში.
- კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა - დოკუმენტის მე-15 მუხლის თანახმად, სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს. განმცხადებლის ვინაობა არ მჟღავნდება მისი თანხმობის გარეშე, ხოლო ინფორმაციის გაცვლისას ხდება მონაცემების დაშტრიხვა. ეს მიდგომა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, რათა მათ არ მოერიდოთ პრობლემური საკითხების ღიად დაფიქსირება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის სისტემური მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების სამართლებრივ და პროცედურულ გარანტიებს.

- მშობელთა და კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვა: სკოლის მართვის უმაღლეს ორგანოში — სამეურვეო საბჭოში — მშობლები წარმოდგენილნი არიან 3 წევრით (თანაბარი რაოდენობით პედაგოგებთან), რომლებიც აირჩევიან თითოეული საფეხურის მიხედვით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მშობელთა მონაწილეობა და საბჭოს

უფლებამოსილება, გააუქმოს დირექტორის ისეთი აქტები, რომლებიც არ შეესაბამება კანონმდებლობას, წარმოადგენს მათი უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს. საჩივრების განხილვის პროცედურა მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, ოფიციალურად დააფიქსირონ პრეტენზია და მიიღონ დასაბუთებული პასუხი კანონით დადგენილ ვადებში.

- პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა: „ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებების“ დოკუმენტით განსაზღვრულია პედაგოგიური საბჭოსა და თანამშრომელთა ფუნქციები. კანცელარია უზრუნველყოფს პერსონალის პირადი საქმეების ფორმირებასა და დაცვას. სკოლაში მოქმედი საჩივრების მართვის სისტემა თანაბრად ვრცელდება თანამშრომლებზეც. პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები (მუხლი 15) იცავს თანამშრომლებს შესაძლო ზეწოლისგან საჩივრის წარდგენის პროცესში, რაც შრომითი უფლებების დაცვის წინაპირობაა.
- ეთიკური ნორმები და დისციპლინური წარმოება: სკოლის წესდება და შინაგანაწესი არეგულირებს დისციპლინური გადაცდომის განხილვის წესს. დისციპლინური წარმოებისას მხარეებს აქვთ უფლება, იყვნენ მოსმენილნი და წარადგინონ მტკიცებულებები, რაც სამართლიანი პროცესის გარანტიაა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, დამტკიცებულია სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის N2-62 ბრძანებით;*
- *საჯარო სკოლის წესდება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 19.09.05;*
- *სსიპ - სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილება და საქმიანობის რეგულაციები, დამტკიცებულია სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 29 დეკემბრის N2-67 ბრძანებით;*
- *სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა, დამტკიცებულია სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის N 2-54 ბრძანებით.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში მოქმედებს კომუნიკაციის შემდეგი არხები:

- ელექტრონული სისტემები: გამოიყენება სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eSchool), ოფიციალური ვებ-გვერდი და სოციალური მედიის ჯგუფები;
- შეხვედრების ოქმები: დადასტურებულია სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის რეგულარული შეხვედრები;
- უკუკავშირის ინსტრუმენტები: სკოლა პერიოდულად ატარებს კმაყოფილების კვლევას (კითხვარებს) მშობლებისა და მასწავლებლებისთვის.

სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ინტერვიუების დროს მშობლებმა დაადასტურეს, რომ ფლობენ ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სიახლეებისა და ინფრასტრუქტურული ცვლილებების შესახებ.

ამრიგად, სკოლაში იკვეთება მართვის პროცესების გამჭვირვალობისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მაღალი კულტურა. მექანიზმები არ არის ფორმალური; ისინი ინტეგრირებულია ყოველდღიურ მართვაში, რაც ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში ვიზიტისას, დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- სტრუქტურული მოწყობა: სკოლაში ფუნქციონირებს მართვის კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა;

- არჩევნების გამჭვირვალობა: წარმოდგენილია საბჭოების დაკომპლექტების დამადასტურებელი ოქმები, რაც მოწმობს, რომ წევრები არჩეულნი არიან დემოკრატიული პრინციპებით;
- მშობელთა ჩართულობა: სკოლას ჰყავს აქტიური მშობელთა კომიტეტი, რომელიც მონაწილეობს არაფორმალური განათლების დაგეგმვაში.

ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო პედაგოგიური საბჭოს წევრების ინიციატივები. ეს მიუთითებს, რომ მართვა არ არის მხოლოდ ვერტიკალური (დირექტორიდან ქვემოთ), არამედ ჰორიზონტალურიც.

სკოლა იყენებს სხვადასხვა პლატფორმას (ელექტრონული ჟურნალი, საერთო შეხვედრები) ინფორმაციის დროული გაცვლისთვის, რაც საზოგადოების წევრებს აძლევს განცდას, რომ ისინი სკოლის მართვის პროცესის სრულუფლებიანი მონაწილეები არიან.

ამრიგად, სკოლაში დანერგილია მართვის დემოკრატიული პრინციპები. კოლეგიალური ორგანოების მუშაობა ეფუძნება ურთიერთთანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მაღალ კონსოლიდაციას საერთო მიზნების გარშემო.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), დამტკიცებულია სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 25 თებერვლის N2/17 ბრძანებით;*
- *მშობლებთან ინტერვიუს შედეგები;*
- *საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები (2025 წელი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, თუმცა ფიქსირდება გარკვეული საჭიროებები ინფრასტრუქტურული და სისტემური გაუმჯობესების კუთხით.

სკოლაში დამონტაჟებულია 14 შიდა და გარე კამერა, რომელთა დახმარებით შესაძლებელია სიტუაციის კონტროლი მონიტორის საშუალებით. ასევე, სკოლას ჰყავს დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი: სკოლაში შექმნილია უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც კოორდინაციას უწევს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს მანდატური, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის გადამზადებული და სერტიფიცირებული კადრი, რომელიც ასრულებს მანდატურის ფუნქციებს. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა (დამტკიცებული 2024 წლის 27 სექტემბერს), რომელიც არეგულირებს უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცედურებს.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა: სკოლას გააჩნია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის №2/57 ბრძანებით. გეგმა შეთანხმებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. დოკუმენტში გაწერილია საევაკუაციო სქემები, საგანგებო შტაბის ფუნქციები და სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ნუსხა (ფანრები, რესპირატორები, ცეცხლმაქრები და ა.შ.).

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა: სკოლამ წარმოადგინა მიმართვა სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მომსახურების გაწევის (სახანძრო უსაფრთხოების კუთხით) თაობაზე. აღნიშნული დოკუმენტი ვერ ჩაითვლება ვალიდურად, რადგან მიმართვა არ არის დათარიღებული, რაც მას იურიდიულ ძალას უკარგავს. ადმინისტრაციული წარმოების წესების მიხედვით, თარიღის გარეშე დოკუმენტი ფაქტობრივად არავალიდურია, რადგან ვადების ათვლა შეუძლებელია: განცხადებაში მითითებულია, რომ მომსახურება უნდა გაიწიოს 30 სამუშაო დღის ვადაში. თარიღის გარეშე ვერ განისაზღვრება, როდის იწყება და როდის იწურება ეს ვადა. ასევე, განცხადების ტექსტში აღნიშნულია, „...საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა...“, რაც ფაქტობრივი შეცდომაა.

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ დაკვნა.

რჩევა: *სასურველია, სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.*

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, სკოლა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს. სკოლას აქვს ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.</u>

<u>სკოლას აქვს მიმართვა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსადმი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც თარიღდება 2025 წლის 23 დეკემბრით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „უსაფრთხოების პოლიტიკა“ (2024 წლის 27 სექტემბერი, №5 სხდომა), სადაც ცალკე მუხლი ეთმობა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა აღიარებს ვალდებულებას, შექმნას მოსწავლეთა და თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ქცევის წესები საგანგებო სიტუაციების დროს.

„საგანგებო მართვის გეგმის“ (2025 წლის 17 დეკემბერი) დანართი №10-ში ჩამოთვლილია ინვენტარი, მათ შორის პირველადი დახმარების ჩანთა და შესაბამისი აღჭურვილობა. სკოლას გააჩნია მინიმალური საჭირო აღჭურვილობა პირველადი დახმარებისათვის.

სკოლაში მოქმედებს თამბაქოს აკრძალვის მკაცრი წესი (ბრძანება №2/62) და სამედიცინო რეკომენდაციებზე დაფუძნებული ჰიგიენური პროტოკოლები. პრევენციული ღონისძიებები (თამბაქოს კონტროლი, სადეზინფექციო რეჟიმი) ამცირებს ჯანმრთელობის გაუარესების რისკებს სკოლის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ჯგუფის წევრთა ვიზიტის დროისთვის სკოლას არ ემსახურებოდა ექიმი/ექთანი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს გამართული დოკუმენტაცია და ჰყავს გადამზადებული პერსონალი, პროფესიონალი მედიკოსის გარეშე შეუძლებელია ზუსტი სამედიცინო დიფერენცირება, ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეების მუდმივი მეთვალყურეობა და ეპიდემიოლოგიური რისკების კვალიფიციური პრევენცია. ეს ფაქტორი სკოლას ტოვებს მაღალი იურიდიული და ეთიკური პასუხისმგებლობის წინაშე, რადგან ნებისმიერი მძიმე შემთხვევისას პირველადი დახმარების უნარ-ჩვევები ვერ ჩაანაცვლებს ლიცენზირებულ სამედიცინო ჩარევას, რაც ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით კრიტიკულ ხარვეზად განიხილება.

სკოლა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს. გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით სრულყოფილად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, საქართველოს განათლების,მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებულია ახალი საშტატო განრიგი ექთნის შტატით და მიმდინარე წლის 2026 წლის 01.04-დან სკოლის დირექტორის N1/კ-12 ბრძანებით აყვანილი ჰყავს ექთანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს მყარი ადმინისტრაციული და სტრუქტურული სისტემა წესრიგის მონიტორინგისა და დარღვევებზე რეაგირებისთვის.

სკოლას აქვს დამტკიცებული „უსაფრთხოების პოლიტიკა“ (2024 წ.) და „უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს“ შექმნის შესახებ ბრძანება №2/07 (2026 წლის 9 თებერვალი). დოკუმენტაცია სრულად ფარავს სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის

სამართლებრივ ასპექტებს. განსაზღვრულია ქცევის წესები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, რაც ქმნის წესრიგის დაცვის წინაპირობას.

სკოლაში ფუნქციონირებს „უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო“. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავს მანდატური, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არის სერტიფიცირებული და გადამზადებული კადრი. მრჩეველთა საბჭოს ოქმებიდან (მაგ. 2026 წლის 9 თებერვლის ოქმი) ჩანს, რომ სკოლა ახორციელებს კოორდინირებულ მუშაობას მანდატურის სამსახურის არყოფნის პირობებშიც. პასუხისმგებელი პირი ფაქტობრივად ასრულებს მანდატურის ფუნქციებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე წესრიგის მუდმივ კონტროლს.

სკოლაში მოქმედებს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის მკაცრი წესი (ბრძანება №2/62 და №2/71) და განსაზღვრულია რეაგირების წესები ბულინგის, დისკრიმინაციისა თუ დესტრუქციული ქცევის შემთხვევებზე. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური კონტროლით; სკოლას აქვს მექანიზმი მოსწავლის განცალკევების, მდგომარეობის მართვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის, რაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თანამედროვე სტანდარტია.

„უსაფრთხოების პოლიტიკის“ მე-4 მუხლის თანახმად, სკოლაში ხორციელდება ვიდეომეთვალყურეობა (ვიდეოკამერების საშუალებით). ვიდეომონიტორინგის სისტემის არსებობა წარმოადგენს მყარ მტკიცებულებას იმისა, რომ სკოლა აკონტროლებს შიდა და გარე პერიმეტრს, რაც პრევენციულად მოქმედებს წესრიგის დარღვევის ფაქტებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა (2024 წ.), რომელიც პირდაპირ ავალდებულებს დაწესებულებას, შექმნას მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის უსაფრთხო გარემო. პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სკოლის ხედვა ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რაც ქმნის ლეგალურ საფუძველს ემოციურად სტაბილური გარემოსთვის.

მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებში (ბრძანება № 2/07, 2026 წ.) პირდაპირ არის მითითებული ბულინგის, კიბერბულინგისა და დისკრიმინაციის შემთხვევებზე რეაგირება. სკოლას განსაზღვრული აქვს კონკრეტული დარღვევების ნუსხა, მათ შორის: მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა, ბულინგი, დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნით და დესტრუქციული ქცევა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა აიდენტიფიცირებს ემოციურ რისკებს და აქვს მათი მართვის პროტოკოლი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დეტალური წესი (ბრძანება N 2/65, 25.12.2025), რომელიც სრულად ფარავს მოსწავლის სასკოლო ცხოვრების ყველა სამართლებრივ ეტაპს. დოკუმენტი ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს.

წესის მე-2 და მე-3 მუხლები დეტალურად განსაზღვრავს პირველ კლასში ჩარიცხვისა და მობილობის პროცედურებს. მობილობის პროცესი ხორციელდება ელექტრონული სისტემის (EMIS) მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვას.

მე-4 და მე-5 მუხლებში მკაფიოდ არის გაწერილი მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძვლები (მაგ: 20-დღიანი გაცდენა, საზღვარგარეთ გამგზავრება, მშობლის განცხადება) და სტატუსის შეწყვეტის წინაპირობები. რეგულაციები ითვალისწინებს სკოლის ვალდებულებას, სტატუსის შეწყვეტამდე გამოიყენოს პრევენციული ღონისძიებები, რაც ბავშვის უფლებების დაცვის გარანტიაა.

საფეხურის დაძლევისა და კლასიდან კლასში გადაყვანის კრიტერიუმები (მუხლი 7 და 8) ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას. განსაზღვრულია მინიმალური ბარიერი (5.0 ქულა) და ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების შესაძლებლობა.

დოკუმენტის მე-10 მუხლის თანახმად, მონაცემთა სისწორეზე მართვის საინფორმაციო სისტემაში პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს, რაც აძლიერებს ადმინისტრაციული პროცესების სანდოობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. წესი არის სისტემატიზებული, მოიცავს ყველა საჭირო პროცედურულ დეტალს და უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი ინტერესების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას აქვს სისტემატიზებული დოკუმენტი (ბრძანება N 2/65, 25.12.2025), რომელიც აწესრიგებს მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. წესი სრულ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

პირველ კლასში ჩარიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში და წესით. მობილობის პროცესი გამჭვირვალეა და მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) გამოყენებით ხორციელდება (მუხლი 3), რაც გამორიცხავს სუბიექტურ გადაწყვეტილებებს.

წესის მე-4 მუხლში დეტალურად არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები (20-დღიანი უმიზეზო გაცდენა, საზღვარგარეთ გამგზავრება, მშობლის სურვილი). მნიშვნელოვანია, რომ სტატუსის შეწყვეტამდე (მუხლი 5) სკოლა ვალდებულია, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, რაც მიუთითებს მოსწავლის ინტერესების პრიორიტეტულობაზე.

განსაზღვრულია საფეხურის დაძლევის მკაფიო კრიტერიუმები (მუხლი 8) – წლიური ქულა არანაკლებ 5.0.

მოქმედებს ექსტერნატის ფორმით განათლების მიღების აღიარების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს განათლების უწყვეტობას.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლა ზედმიწევნით იცავს მოსწავლის სტატუსის მართვის მექანიზმებს. პროცედურები არის მკაფიო, კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული და ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლაში მოქმედი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის“ წესის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის პროაქტიულ მიწოდებას. ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ფიზიკურად (სასკოლო სივრცეში), ისე ციფრულად (ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი).

„მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“ ავალდებულებს დირექციასა და დამრიგებლებს, პირადად გააცნონ მშობლებსა და მოსწავლეებს სასკოლო-სასწავლო გეგმა და სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისები.

მოქმედებს ტრანზიციის გეგმა, რაც გულისხმობს მშობლებთან წინასწარ შეხვედრებსა და სკოლის სპეციფიკის გაცნობას.

სკოლის შიდა რეგულაციები (ჩარიცხვის, სტატუსის მართვისა და მხარდაჭერის წესები) დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებებით და მათ შესახებ ინფორმირება ხდება დამრიგებლების მეშვეობით. ქცევის წესების გაცნობა ხდება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით (ვიზუალური მასალების გამოყენებით), რაც ინფორმაციას უფრო აღქმადს ხდის.

ვინაიდან სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სწავლა არის უფასო. მომსახურების საფასურის შესახებ ინფორმაციის არარსებობა დოკუმენტაციაში შეესაბამება საჯარო სკოლის სტატუსს.

მხარდაჭერის მექანიზმების საჯაროობა: მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და მისი ფუნქციები ღიაა სასკოლო საზოგადოებისთვის, რაც მშობლებს აძლევს მკაფიო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტიპის დახმარების მიღება შეუძლიათ მათ შვილებს.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების პირობები, შიდა პოლიტიკა და ქცევის წესები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. სკოლა იყენებს როგორც ინდივიდუალური (შეხვედრები), ისე მასობრივი (ელექტრონული კომუნიკაცია) ინფორმირების მეთოდებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის შიდა რეგულაციით („მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვა“, მუხლი 1) დეკლარირებულია, რომ სკოლა ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას და „ბავშვის უფლებათა კოდექსს“. ეს ავალდებულებს პერსონალს, გავრცელებული ინფორმაცია იყოს ობიექტური და ბავშვის ინტერესებზე მორგებული.

სკოლა იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან არხებს: ელექტრონულ ფოსტას, სოციალურ ქსელებსა და პირისპირ შეხვედრებს.

„მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის“ თანახმად, სკოლა ვალდებულია მშობლებს მიაწოდოს ინფორმაცია სასკოლო-სასწავლო გეგმის, სერვისებისა და რეგულაციების შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროგრამების გამჭვირვალობას.

წარმოდგენილი დოკუმენტები (მაგ: ჩარიცხვის წესი, მხარდაჭერის ჯგუფის დებულება) დათარიღებულია 2025 და 2026 წლებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ფლობს და ავრცელებს განახლებულ ინფორმაციას, რომელიც მორგებულია მიმდინარე საკანონმდებლო მოთხოვნებს.

უფლებების დაცვის დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული რელიგიური, ეთნიკური და კულტურული კუთვნილების მიუხედავად ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტია.

ინფორმაციის გავრცელებისას (მაგ: დამრიგებლების მიერ) გამოიყენება ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისი მეთოდები, რაც გამორიცხავს ნებისმიერი ჯგუფის გარიყვას ან სტიგმატიზაციას.

სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპს ინფორმაციის გავრცელებისას, რაც კანონმდებლობის უპირობო მოთხოვნაა.

ამრიგად, ინფორმაცია არის გამჭვირვალე, რეგულარულად განახლებადი და ეფუძნება თანასწორობის პრინციპს. სკოლა ახერხებს პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის ეფექტურ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების ან/და შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში განათლების მიღების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი – დამტკიცებული სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის N2/65 ბრძანებით;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის წესი – დამტკიცებული სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 13 თებერვლის N2/10 ბრძანებით;*

- *მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება – დამტკიცებული სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N2-61 ბრძანებით;*
- *მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი – დამტკიცებული სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 9 სექტემბრის N04 სხდომის გადაწყვეტილებით;*
- *ბრძანება პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის (კოორდინატორის) და ჯგუფის წევრთა განსაზღვრის შესახებ – სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის N2/31 ბრძანება;*
- *სკოლაში ტრანზიციისათვის ბავშვისა და ოჯახის საჭიროებების განსაზღვრის ფორმა (დანართი N3) – დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 3 სექტემბრის N2/31 ბრძანებით.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

არსებული დოკუმენტაციისა და დადგენილი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს და ეფექტურად იყენებს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ მრავალკომპონენტიან მექანიზმს, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 9 სექტემბრის N04 სხდომის გადაწყვეტილებით.

- შექმნილია მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი (დირექტორის 22.12.2025 წლის N2-61 ბრძანება), რომლის მიზანია პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა და სირთულეების იდენტიფიცირება.
- დამტკიცებულია პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის (კოორდინატორის) და ჯგუფის შემადგენლობა (დირექტორის 03.09.2025 წლის N2/31 ბრძანება).

სკოლა ახორციელებს მიზნობრივ აქტივობებს სხვადასხვა ჯგუფისთვის:

- პირველკლასელთათვის: მოქმედებს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვისა და ოჯახის საჭიროებების განსაზღვრას სპეციალური ფორმების მეშვეობით.
- ახალგადმოსული მოსწავლეებისთვის: მექანიზმი ითვალისწინებს დირექციისა და დამრიგებლის შეხვედრებს მშობლებთან, სასკოლო გარემოსა და რეგულაციების გაცნობას.
- ინდივიდუალური მიდგომა: სკოლა სწავლობს მოსწავლის ფსიქოტიპს, ემოციურ მდგომარეობას, ოჯახურ და სოციალურ ფონს.

ადაპტაციის პროცესში ჩართულია სკოლის ყველა რგოლი: დირექტორი, დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, ექთანი და მოსწავლეთა მხარდაჭერის კონსულტანტი. მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს პრობლემების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სამოქმედო სტრატეგიებს. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება და მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის მონიტორინგი.

ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (ბრძანებები, დებულებები, ტრანზიციის ფორმები, სამოქმედო გეგმა) ადასტურებს, რომ ადაპტაციის მექანიზმი არ არის ფორმალური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის სრულფასოვან ჩართვაზე სასკოლო ცხოვრებაში. სისტემა მოიცავს როგორც პრევენციულ (ტრანზიციის გეგმები), ისე რეაგირების (მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობა) მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მექანიზმი ეყრდნობა მულტიდისციპლინურ მიდგომას. კითხვარებისა და გასაუბრებების მეშვეობით ხდება პოტენციური სირთულეების წინასწარი განსაზღვრა. მხარდაჭერის ჯგუფი (როგორც ეს მე-4 მუხლშია გაწერილი) აანალიზებს პრობლემას და ადგენს სამოქმედო სტრატეგიას. ხდება არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ემოციური მზაობის შექმნა (კვირაში ერთხელ შეხვედრები მშობლებთან ადაპტაციის პერიოდში).

მტკიცებულებათა ერთობლიობა ადასტურებს, რომ სკოლას აქვს გააზრებული ხედვა: ადაპტაცია არაა ერთჯერადი აქტი, არამედ უწყვეტი პროცესი, რომელიც იწყება მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წუთიდან და გრძელდება მის სრულ ინტეგრაციამდე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში მოქმედი მექანიზმები და დაგეგმილი აქტივობები სრულად ადასტურებს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების ხელშემწყობ გარემოს. სისტემა ეფუძნება მოსწავლის საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას და მათზე ორიენტირებული მხარდაჭერის სტრატეგიების შემუშავებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება აკადემიური მხარდაჭერის სამი ძირითადი დონე:

ა) სტრუქტურული მხარდაჭერა და პასუხისმგებლობების განაწილება - დებულების თანახმად, აკადემიური პრობლემების იდენტიფიცირებაზე, ანალიზსა და სამოქმედო გეგმის შედგენაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კათედრასა და საგნის მასწავლებლებზე. დოკუმენტში არსებული ცხრილი ნათლად აჩვენებს, რომ აკადემიური საჭიროებების დადგენა და გეგმის შედგენა კათედრისა და მასწავლებლების პირდაპირი მოვალეობაა.

ბ) ინდივიდუალური კონსულტირება და დამატებითი მუშაობა - სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს „სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზებას“ და „სადისკუსიო შეხვედრებს“. ინდიკატორებად მითითებულია კათედრისა და მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები. ეს ნიშნავს, რომ სკოლას აქვს გაწერილი დრო და რესურსი იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც აკადემიური ჩამორჩენა აქვთ ან ესაჭიროებათ დამატებითი კონსულტაცია.

გ) მშობელთა ჩართულობა აკადემიური პროგრესისთვის - დოკუმენტი ავალდებულებს დამრიგებელს, მინიმუმ კვირაში ერთხელ გამართოს შეხვედრები მშობლებთან. ეს მექანიზმი გამოიყენება არა მხოლოდ სოციალური ადაპტაციისთვის, არამედ აკადემიური უკუკავშირის მისაწოდებლად, რაც მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების წინაპირობაა.

აკადემიური მხარდაჭერის სისტემა სკოლაში ფუნქციონირებს „იდენტიფიცირება-რეაგირება-მონიტორინგის“ პრინციპით: მასწავლებელი/კათედრა ახდენს იმ მოსწავლეების იდენტიფიცირებას, რომელთა აკადემიური მაჩვენებლები არ შეესაბამება სტანდარტს. მხარდაჭერის ჯგუფის დებულების მე-5 მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ შეხვედრებს, სადაც განიხილება

კონკრეტული მოსწავლის სირთულეები. სამოქმედო გეგმაში რესურსად მითითებულია „არსებული ადამიანური რესურსი (წამყვანი/მენტორი მასწავლებლები)“, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რთულ აკადემიურ შემთხვევებში ჩართულია სკოლის მაღალი კვალიფიკაციის პერსონალი.

მტკიცებულებათა ერთობლიობა (ბრძანებები, დებულებები, სამოქმედო გეგმა) ადასტურებს, რომ სკოლას აქვს მკაფიო ხედვა, თუ როგორ უნდა დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიურ წინსვლაში. მხარდაჭერა არის დოკუმენტირებული და ეყრდნობა გუნდურ მუშაობას (კათედრა, მხარდაჭერის ჯგუფი, მშობელი). არსებობს მონიტორინგის ინდიკატორები (შეხვედრების ოქმები, რეფლექსიები), რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს მხარდაჭერის ეფექტურობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში არსებული ადმინისტრაციული პროცესები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების რეალიზებას გამჭვირვალე, სამართლიანი და გონივრულ ვადებში განხორციელებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის გზით.
ადმინისტრაციული მხარდაჭერის ეფექტურობა დასტურდება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით:

ა) საქმისწარმოების სისტემა და ვადების დაცვა - სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლაში დანერგილია საქმისწარმოების ერთიანი სისტემა, რაც გულისხმობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ და მატერიალურ აღრიცხვას. ეს დაკავშირებულია მოქალაქეთა (მათ შორის მოსწავლეთა/მშობელთა) განცხადებების განხილვის ვადებთან. სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადებით (განცხადებაზე რეაგირება არაუგვიანეს 10 დღისა, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული).

ბ) ინფორმაციული ხელმისაწვდომობა და უფლებების განმარტება - დოკუმენტი ითვალისწინებს მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრებს, სადაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაცნობა. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლე ინფორმირებულია თავისი უფლებების შესახებ (მაგ: მობილობა, შეფასების გასაჩივრება, ექსტერნატი და ა.შ.) სწავლის დაწყების პირველივე ეტაპიდან.

გ) ადმინისტრაციული რეაგირების მექანიზმები - დებულებაში მოცემული მატრიცა აჩვენებს, რომ ნებისმიერი „სირთულის/საჭიროების“ წამოჭრისას (რაც შეიძლება იყოს უფლებრივი დარღვევაც), ჩართულია სკოლის დირექცია. დირექტორი, როგორც ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, პასუხისმგებელია დროულ რეაგირებაზე.

სკოლის მიერ მოსწავლის უფლებების რეალიზება ვლინდება შემდეგ ასპექტებში: სკოლის სამოქმედო გეგმაში „პასუხისმგებელ პირად“ მითითებულია საქმისმწარმოებელი და დირექცია, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მოსწავლის მიერ მოთხოვნილი ცნობები, დახასიათებები თუ სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტები გაიცემა შეფერხების გარეშე. ადაპტაციის მექანიზმში ჩაწერილი „მშობელთან მინიმუმ კვირაში ერთხელ შეხვედრა“ არის პლატფორმა, სადაც ხდება ნებისმიერი ადმინისტრაციული ბარიერის იდენტიფიცირება და მისი აღმოფხვრა. ტრანზიციის გეგმის არსებობა (ბრძანება N 2/31) ადასტურებს, რომ სკოლა განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს მათი უფლებების (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ადაპტირებული გარემო) რეალიზებაში.

დოკუმენტური მასალებისა და სკოლის შიდა რეგულაციების ურთიერთგადაკვეთით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს ადმინისტრაციული მხარდაჭერის მკაფიო პროცედურები; მოსწავლესა და მშობელს აქვთ ინფორმაციული წვდომა უფლებების რეალიზების გზებზე; გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის კოლეგიური (მხარდაჭერის ჯგუფი) და დროული (საქმისწარმოების სისტემით კონტროლირებადი).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში არსებული პრაქტიკა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს. სკოლა ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსწავლეთა თვითრეალიზებისთვის, იყენებს მაღალკვალიფიციურ პერსონალს არაფორმალური განათლების ხელშესაწყობად და უზრუნველყოფს მოსწავლეთა იდეების ადმინისტრაციულ და მატერიალურ მხარდაჭერას.

სამოქმედო გეგმაში არაფორმალური და მხარდაჭერითი აქტივობების განხორციელების რესურსად პირდაპირ არის მითითებული „არსებული ადამიანური რესურსი (წამყვანი/მენტორი მასწავლებლები)“. ეს ადასტურებს, რომ აქტივობებს უძღვება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროცესის შინაარსობრივ ხარისხს.

დებულების თანახმად, ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიზანია „პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა“. სკოლა მოსწავლეთა თვითმმართველობასა და ინდივიდუალურ მოსწავლეებს განიხილავს მხარდაჭერის ობიექტებად, რაც ვლინდება სამოქმედო გეგმის მე-6 პუნქტში — „სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება“.

დოკუმენტებში ფიქსირდება ისეთი აქტივობები, როგორიცაა:

- შიდა სასკოლო ექსკურსიები (ინფრასტრუქტურის გაცნობა, სოციალიზაცია);
- სადისკუსიო შეხვედრები (მოსწავლეთა აზრის გამოხატვის პლატფორმა);
- გაცნობითი აქტივობები (სოციალური უნარების განვითარება).

ადაპტაციის მექანიზმში მითითებული მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობა ახალგადმოსულთა მიღების პროცესში ნათლად აჩვენებს, რომ სკოლა ენდობა მოსწავლეების ინიციატივებს და აძლევს მათ პასუხისმგებლობას.

ინსტიტუციური წახალისება: სამოქმედო გეგმის 6.1 პუნქტი (თანამშრომლობითი გარემოს გაუმჯობესება) ითვალისწინებს მასტიმულირებელ აქტივობებს, რაც გულისხმობს როგორც მოსწავლეთა, ისე მასწავლებელთა ერთობლივი პროექტების მხარდაჭერას.

სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ შიდა რესურსით. სამოქმედო გეგმაში ნახსენები მოწვეული ფასილიტატორები და ელექტრონული პლატფორმები მიუთითებს იმაზე, რომ არაფორმალური განათლება სცილდება საკლასო ოთახის ჩარჩოებს და ორიენტირებულია თანამედროვე სტანდარტებზე.

მტკიცებულებათა (სამოქმედო გეგმა, დებულებები, ბრძანებები) ურთიერთშეჯერებით დასტურდება, რომ სკოლაში არაფორმალური აქტივობები დაგეგმილია სისტემურად და არა შემთხვევით; პროცესს მართავს მაღალი პროფესიული სტატუსის მქონე პერსონალი (მენტორი/წამყვანი მასწავლებლები); არსებობს ადმინისტრაციული მზაობა მოსწავლეთა ინიციატივების მისაღებად და მათ სარეალიზაციოდ საჭირო რესურსების მოსაძიებლად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ დაწესებულება იყენებს უკუკავშირის სისტემურ მექანიზმებს მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის ასამაღლებლად. სკოლა ორიენტირებულია დაინტერესებულ მხარეთა (მოსწავლე, მშობელი) საჭიროებების შესწავლასა და მათზე დაფუძნებულ განვითარებაზე.

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი ავალდებულებს დამრიგებელს, გამართოს მინიმუმ კვირაში ერთხელ შეხვედრა მშობლებთან. ეს არ არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები; მექანიზმი ითვალისწინებს საინფორმაციო კითხვარების შევსებას მშობლების მიერ, რაც წარმოადგენს უკუკავშირს სკოლის მომსახურების (გარემო, სწავლება, მხარდაჭერა) შესახებ.

მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულების თანახმად, მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს საჭიროებების დადგენასა და პრობლემის ანალიზს. აღსანიშნავია, რომ პროცესში ჩართულია მოსწავლეთა მხარდაჭერის კონსულტანტი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა უსმენს მოსწავლეებს და მათი წუხილების საფუძველზე გეგმავს ინტერვენციებს.

სამოქმედო გეგმაში ინდიკატორად მითითებულია მასწავლებელთა რეფლექსიები და სამუშაო შეხვედრების ოქმები. ვინაიდან სამუშაო შეხვედრებზე ხდება მოსწავლეთა აკადემიური და სოციალური მდგომარეობის განხილვა, ეს პროცესი წარმოადგენს უკუკავშირის ტრანსფორმაციას კონკრეტულ ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ გადაწყვეტილებებად.

სკოლის მიერ მომსახურების გაუმჯობესება უკუკავშირის საფუძველზე ვლინდება სამ ეტაპად:

- ინფორმაციის შეგროვება: სკოლა იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს: ტრანზიციის ფორმებს (ბრძანება N2/31), ინდივიდუალურ კითხვარებსა და პერმანენტულ შეხვედრებს. ეს უზრუნველყოფს მონაცემთა მუდმივ განახლებას;
- ანალიზი და კოლეგიური განხილვა: მხარდაჭერის ჯგუფის შეხვედრები (დებულების მე-5 მუხლი) არის ის პლატფორმა, სადაც მიღებული უკუკავშირი მუშავდება. აქ ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ცვლილებაა საჭირო სასწავლო პროცესში ან გარემოში;
- გაუმჯობესების დემონსტრირება: სამოქმედო გეგმის 5.5 პუნქტი (სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ორგანიზება) მიუთითებს იმაზე, რომ სკოლა ცვლის სწავლების მეთოდოლოგიას მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ამრიგად, დოკუმენტური დასტურების საფუძველზე (ოქმები, დებულებები, კითხვარები) იკვეთება, რომ სკოლას აქვს მუდმივმოქმედი არხები უკუკავშირის მისაღებად; უკუკავშირი არ რჩება რეაგირების გარეშე და ხდება მისი ასახვა სამოქმედო გეგმებში; სკოლა ორიენტირებულია მომსახურების ხარისხის ზრდაზე, რაც დასტურდება მხარდაჭერის ჯგუფის აქტიური მუშაობითა და ინდივიდუალური მიდგომების დანერგვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი);*
- *მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 22.12.2025 წლის N2-61 ბრძანებით;*
- *მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 09.09.2025 წლის N04 სხდომის გადაწყვეტილებით;*
- *დირექტორის ბრძანება N 2/31 (03.09.2025) პირველკლასელთა ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის (კოორდინატორის) ჯგუფის წევრთა და მათი ფუნქციების განსაზღვრის შესახებ;*
- *ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ფორმა (დანართი N2);*
- *სკოლაში ტრანზიციისათვის ბავშვისა და ოჯახის საჭიროებების განსაზღვრის ფორმა (დანართი N3).*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2026 წლის 11 მარტის N 2/21 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგიის დოკუმენტი“. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს ყველა მოსწავლისთვის კარიერული მართვის სერვისებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას, განურჩევლად მათი ეთნიკური, სოციალური თუ სხვა ნიშნისა.

დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სკოლაში კარიერული ორიენტაციის მომსახურება ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით:

- ინტეგრირებული სწავლება: კარიერული დაგეგმვის საკითხები ინტეგრირებულია ისეთ საგნებში, როგორიცაა „მე და საზოგადოება“ (III-IV კლ.), „ჩვენი საქართველო“ (V-VI კლ.), საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, „მოქალაქეობა“ და ესთეტიკის კათედრის საგნები.
- პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა: 2017 წლიდან მოქმედებს პროგრამა (Work Skills Development Program), რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სკოლის მცირე პროფესიულ ლაბორატორიებში ეცნობიან სხვადასხვა პროფესიას.

- ინფორმაციული მხარდაჭერა: ტარდება კარიერული ინფორმაციის მიწოდების გაკვეთილები, თუმცა აღნიშნულია, რომ ისინი ყოველთვის არ არის სავალდებულო ხასიათის.
- პრაქტიკული აქტივობები: სტრატეგია ითვალისწინებს ექსკურსიებს საწარმოებსა და სასწავლებლებში, ასევე შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დოკუმენტის (დამტკიცებული 2026 წლის 11 მარტის N 2/21 ბრძანებით) ანალიზით დასტურდება, რომ სკოლას გაწერილი აქვს ინფორმაციის მიწოდების კონკრეტული მექანიზმები:

- საინფორმაციო მხარდაჭერის სისტემა: სტრატეგიის მე-3 მუხლის თანახმად, სკოლა იყენებს მრავალფეროვან არხებს ინფორმაციის გასავრცელებლად, მათ შორის: საინფორმაციო შეხვედრებს, ვებგვერდს, სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო დაფებს;
- სამიზნე ჯგუფებთან კომუნიკაცია: დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კარიერული ინფორმაციის მიწოდება ხდება არა მხოლოდ მოსწავლეებისთვის, არამედ მათი მშობლებისთვისაც (კანონიერი წარმომადგენლებისთვის), რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკოლა ვალდებულებას იღებს, მიაწოდოს ინფორმაცია ზოგადი განათლების მომდევნო საფეხურების შესახებ; პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაძლებლობებზე; შრომის ბაზრის აქტუალურ ტენდენციებსა და მოთხოვნად პროფესიებზე.

სტრატეგია ითვალისწინებს თანამშრომლობას სხვადასხვა უწყებებთან (განათლების სამინისტრო, დასაქმების სააგენტო, ბიზნესგაერთიანებები), რაც ზრდის მიწოდებული ინფორმაციის ვალიდურობასა და სანდოობას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვა პასუხობს მუდმივი განახლების პრინციპს. კერძოდ, სტრატეგიაში ნახსენებია ინფორმაციის მიწოდება „სწრაფად ცვალებად სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში“, რაც გულისხმობს, რომ სკოლა აცნობიერებს ინფორმაციის პერიოდული განახლების საჭიროებას. დოკუმენტი დეკლარირებს ყველა მოსწავლის თანაბარ წვდომას სერვისებზე, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციას და უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სენსიტიური ჯგუფებისთვისაც. ინფორმაციის მიწოდება არ შემოიფარგლება მხოლოდ მშრალი ფაქტების გაცნობით; იგი მოიცავს

კარიერული მართვის უნარების (CMS) განვითარებას, რაც ეხმარება მოსწავლეს, თავად მოიძიოს და გაფილტროს სანდო ინფორმაცია მომავალში.

ამრიგად, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სსიპ - კოხნარის საჯარო სკოლაში დასტურდება კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდების სისტემის არსებობა. სკოლას აქვს გააზრებული პასუხისმგებლობა როგორც მოსწავლეების, ისე მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების წინაშე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სტრატეგიაში მითითებულია, რომ „კარიერული სერვისების განხორციელება, ხარისხის, უწყვეტობისა და ინკლუზიურობის შეფასებაში აქტიური მონაწილეობა“ არის სისტემის განუყოფელი ნაწილი. დოკუმენტი ითვალისწინებს საკვლევი ინსტრუმენტების, მეთოდოლოგიური მასალების მომზადება-ადაპტირებას, რაც მიანიშნებს, რომ სკოლას აქვს განზრახვა, გამოიყენოს კონკრეტული მექანიზმები (მაგ. კითხვარები, კვლევა) სერვისის ეფექტურობის გასაზომად. ხდება საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა, რაც გულისხმობს გაწეული მუშაობის ანალიზს და წარმატებული მოდელების შემდგომ დანერგვას.

სკოლის მიერ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში შეფასების შედეგების გათვალისწინება დასტურდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგიის დოკუმენტი, დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 11 მარტის N 2/21 ბრძანებით.;*
- *ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამები;*
- *პროფესიული უნარების განვითარების პროგრამის (Work Skills Development Program) ანგარიშები.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია“, რომელიც განსაზღვრავს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭების გამჭვირვალე პროცედურებს.

- პირველკლასელთა იდენტიფიცირება: ჩარიცხვისას მშობელი ავსებს სპეციალურ ფორმას სავარაუდო საჭიროების შესახებ, რის შემდეგაც სკოლა უზრუნველყოფს მულტიდისციპლინური გუნდის მოწვევას;
- მიმდინარე სტატუსის მოპოვება: თუ მასწავლებელი/დამრიგებელი შენიშნავს სწავლის სირთულეს, იგი ვალდებულია აცნობოს დირექტორს, რის შემდეგაც ხდება მშობელთან კომუნიკაცია და სამინისტროსთვის მიმართვა შეფასების მიზნით;
- მშობელთან მუშაობა: იმ შემთხვევაში, თუ მშობელი წინააღმდეგია შეფასების, სკოლა ახორციელებს დამატებით კონსულტაციებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

სკოლაში მოქმედებს ისგ-ის შემუშავებისა და შესრულების მონიტორინგის მყარი სისტემა: დირექტორის აქტით იქმნება ჯგუფი, რომელიც სწავლის დაწყებიდან 2 კვირაში ადგენს ინდივიდუალურ გეგმას თითოეული საგნისთვის, სემესტრში მინიმუმ 2-ჯერ იკრიბება მიღწევებისა და სირთულეების განსახილველად. სკოლის პედაგოგიური საბჭო წელიწადში ორჯერ აფასებს ისგ ჯგუფის მუშაობას, ხოლო მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს ამზადებს დასკვნას სამინისტროსთვის წარსადგენად.

სკოლა იღებს ვალდებულებას, შექმნას ადაპტირებული გარემო და უზრუნველყოს კვალიფიციური კადრები: სკოლა კონკურსის წესით არჩევს სპეციალურ მასწავლებელს და სხვა საჭირო მუშაკებს. თანამშრომლობს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ფიზიკური გარემოს მოსაწყობად. ფუნქციონირებს მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი, რომელშიც შედიან ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ექიმი/ექთანი და საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები.

სკოლაში მკაცრად არის დაცული სსსმ მოსწავლის პერსონალური მონაცემები:

- საჯარო განხილვებისას (მაგ. პედაგოგიურ საბჭოზე) გამოიყენება მხოლოდ მოსწავლის სახელი და გვარის ინიციალი.
- ინდივიდუალურ გეგმებზე წვდომა შეზღუდულია და მხოლოდ უშუალოდ მომუშავე პერსონალს (მასწავლებლები, დირექცია) აქვს ამის უფლება.

ამრიგად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში 3 სსსმ და 1 შშმ მოსწავლეა, აქვს რესურსოთახი, სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის სრულყოფილი, დოკუმენტირებული და პროცედურულად გამართული მექანიზმი, რაც ადასტურებს, რომ **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დოკუმენტაციის საფუძველზე, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ნამდვილად ეფუძნება სასკოლო საზოგადოების მრავალმხრივი ჩართულობისა და მჭიდრო თანამშრომლობის პრინციპებს. ეს დასტურდება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

სკოლაში სსსმ მოსწავლის მხარდაჭერა გუნდური პროცესია: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც ვალდებულია საკუთარი შედეგები გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და მასთან ერთად დასახოს წინსვლის გეგმები. მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფში ერთიანდებიან სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლები: ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ექიმი/ექთანი, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები და შესაბამისი კვალიფიკაციის სხვა პირები. მხარდაჭერის ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მუდმივი თანამშრომლობით.

მშობელი განიხილება, როგორც საგანმანათლებლო პროცესის სრულუფლებიანი და აქტიური მონაწილე: სტატუსის მინიჭების, შეფასების მოთხოვნის ან სტატუსის მოხსნის პროცესი მხოლოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და ჩართულობით იწყება. სკოლა ვალდებულია მინიმუმ 3 თვეში ერთხელ მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის მიღწევების შესახებ. ისგ ჯგუფი ვალდებულია ჰქონდეს სისტემატური კომუნიკაცია მშობელთან მიღწევებისა და სირთულეების განსახილველად.

მხარდაჭერის სისტემაში ინტეგრირებულია სკოლის მართვის ყველა დონე: სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს ისგ და მხარდაჭერის ჯგუფების სამართლებრივ ფორმირებას და მათზე ზედამხედველობას. პედაგოგიური საბჭო წელიწადში ორჯერ ისმენს და აფასებს ისგ ჯგუფის მუშაობას, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას პედაგოგიური კოლექტივისთვის. იქმნება სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აფასებს შედეგებს და დასკვნას წარუდგენს დირექციას.

სასკოლო საზოგადოება არ შემოიფარგლება მხოლოდ შიდა რესურსით და აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან:

- სკოლა თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მულტიდისციპლინური გუნდის მოწვევისა და შესაბამისი სპეციალური გარემოს შექმნის მიზნით.

ამრიგად, დოკუმენტურად დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლის განვითარება სკოლაში წარმოადგენს მულტიდისციპლინურ პროცესს, სადაც მასწავლებლები, სპეციალისტები, ადმინისტრაცია, მშობლები და სახელმწიფო უწყებები კოორდინირებულად მუშაობენ ერთიანი მიზნისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, დამტკიცებული დირექტორის 2026 წლის 24 თებერვლის N 2/14 ბრძანებით;*
- *მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (2025-2026 სასწავლო წელი), დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-61 ბრძანებით;*
- *სამოქმედო გეგმა (2025-2026 სასწავლო წელი);*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024-2031 წლები).*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს არასავალდებულო ხასიათის დამატებითი მომსახურებების მიწოდების სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ნებისმიერი დამატებითი მომსახურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. სკოლა უზრუნველყოფს, რომ ისეთი სერვისები, როგორიცაა ტრანსპორტირება ან სხვა ტიპის მომსახურება, განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის ან საქმიანობის უფლების მოპოვების შემდეგ.

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის 1.2 და 1.3 პუნქტების თანახმად, სკოლა ახორციელებს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის წარმოებას და ხელშეკრულებების გაფორმებას. ეს პროცესი მოიცავს დამატებითი მომსახურებების სამართლებრივ გამართვასაც, რაც უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას.

სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი არასავალდებულო სერვისი მიმართულია მოსწავლის კეთილდღეობასა და მხარდაჭერაზე, რაც შესაბამისია სკოლის ხედვასთან, შეიქმნას უსაფრთხო და მზრუნველი სოციო-კულტურული გარემო.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები ხორციელდება (ან დაიგეგმება) შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებების მიწოდების პროცესი ეფუძნება დემოკრატიული მართვისა და ნებაყოფლობითობის პრინციპებს. სკოლის მართვის სტრატეგია ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ჩართულობას. ნებისმიერი დამატებითი მომსახურება (მაგალითად, გახანგრძლივებული სწავლება ან წრეობრივი მუშაობა) სთავაზობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე. მომსახურების პირობები, მისი შინაარსი და განხორციელების ფორმა თანხმდება მომსახურების მიმღებთან (მშობელთან), რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებითა თუ განცხადებებით.

სამოქმედო გეგმის 1.1 და 1.3 პუნქტების თანახმად, სკოლის დოკუმენტაციის, მათ შორის მომსახურების წესების შემუშავება და დამტკიცება ხდება კოლეგიური ორგანოების — სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების — მონაწილეობით. ეს უზრუნველყოფს, რომ შეთავაზებული სერვისები იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და სკოლის საერთო ინტერესებთან თანხვედრაში.

სკოლის ხედვა და სამოქმედო გეგმის მე-6 პუნქტი („სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება“) ხაზს უსვამს, რომ ყოველი დამატებითი აქტივობა მიზნად ისახავს მოსწავლის პიროვნულ ზრდას, მისი ნიჭის რეალიზებასა და უსაფრთხო, მზრუნველი გარემოს შექმნას. დამატებითი სერვისები არ არის მხოლოდ ტექნიკური ხასიათის, არამედ ისინი წარმოადგენს სასკოლო კულტურის ნაწილს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.

სამოქმედო გეგმაში მითითებული „არსებული ადამიანური რესურსი“ (მათ შორის წამყვანი და მენტორი მასწავლებლები) გამოიყენება იმისათვის, რომ არასავალდებულო მომსახურებები იყოს მაღალი ხარისხის და ემსახურებოდეს საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დამატებითი მომსახურების მიწოდებისას დაცულია ნებაყოფლობითობის პრინციპი, პროცესი შეთანხმებულია მართვის კოლეგიურ ორგანოებთან და მომსახურების მიმღებებთან, ხოლო თავად სერვისები პირდაპირ კავშირშია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონკრეტული დამატებითი მომსახურება (მაგალითად, სხვადასხვა წრეობრივი მუშაობა, კლუბური აქტივობები ან შიდა სასკოლო ღონისძიებები) არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, მათი განხორციელება მაინც ეფუძნება უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებსა და მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის 3.4 პუნქტის თანახმად, დაწესებულებაში მოქმედებს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ მექანიზმები. ეს გულისხმობს, რომ ნებისმიერი არასავალდებულო აქტივობის დროს (რომელიც არ საჭიროებს ცალკე მარეგულირებლის ნებართვას) დაცულია სკოლის შინაგანაწესითა და უსაფრთხოების პოლიტიკით

განსაზღვრული ნორმები. სკოლაში განსაზღვრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი და არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების სისტემა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა დაცულობას ნებისმიერი სერვისის მიწოდებისას.

სკოლის ხედვა და სტრატეგია ორიენტირებულია „მზრუნველი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის“ შექმნაზე. ინტერვიუებისას ხაზგასმულით აღინიშნა, რომ სკოლა პატივს სცემს მოსწავლის ინდივიდუალიზმს და მისი ინტერესების გათვალისწინება წამყვანი პრინციპია. ნებისმიერი დამატებითი მომსახურება თუ პროექტი (მაგალითად, სამოქმედო გეგმის 6.1 პუნქტით გათვალისწინებული „სასკოლო პროექტები“) იგეგმება და ხორციელდება მოსწავლის შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად.

სკოლა უზრუნველყოფს, რომ დამატებითი სერვისების მიწოდებისას დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყოს გამართული (სამოქმედო გეგმის მე-4 პუნქტი - „მატერიალური რესურსის მართვა“). ეს ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობა გარანტირებულია.

სკოლის ადმინისტრაცია რეგულარულად ახორციელებს პროცესების დაკვირვებას, რათა დარწმუნდეს, რომ არარეგულირებადი მომსახურებებიც კი სრულად პასუხობს სკოლის ეთიკის კოდექსსა და ბავშვის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ იმ სერვისების განხორციელებისას, რომლებიც არ საჭიროებს სპეციალურ სამართლებრივ ნებართვას, დაწესებულება ხელმძღვანელობს უსაფრთხოების შიდა რეგულაციებით და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;*
- *სკოლის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი;*
- *ინტერვიუს შედეგები;*
- *სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოების სხდომის ოქმები (დამატებითი მომსახურებების შეთანხმებისა და დამტკიცების ნაწილში).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი რეგულირდება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის დაგეგმვის, დანერგვის, მონიტორინგის, შეფასებისა და რევიზიის ეტაპებს; უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ, გამჭვირვალე და მონაწილეობაზე დაფუძნებულ განხორციელებას.

მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპს და ქმნის მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული არიან სკოლის დირექტორი, საგნობრივი კათედრები და მასწავლებლები. ასევე უზრუნველყოფილია მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობა, რაც ხელს უწყობს სკოლის საჭიროებებზე მორგებული და რეალურ საგანმანათლებლო კონტექსტთან შესაბამისი კურიკულუმის შექმნას.

დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეთა როლები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის განვითარების ყველა ეტაპზე: საჭიროებების იდენტიფიცირება და დაგეგმვა, კურიკულუმის შემუშავება, მისი დანერგვა სასწავლო პროცესში, განხორციელების მონიტორინგი, შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში რევიზია. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას და მის შესაბამისობას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, ასევე სკოლის განვითარების პრიორიტეტებთან.

კურიკულუმის განვითარება სკოლის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, რაც ასახულია როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, ასევე შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის კურიკულუმი შეესაბამება სკოლის განვითარების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს. კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და საჭიროებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას სკოლის საგანმანათლებლო მიზნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის კურიკულუმების შემუშავების პროცესი ერთნაირი მეთოდოლოგიით მიმდინარეობს და მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეთა როლები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: პედაგოგმა უნდა აღწეროს და კოლეგებს გაუზიაროს ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით; უნდა მიიღოს მონაწილეობა კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეათანხმოს კათედრის წევრებთან, თუ რა ინსტრუმენტების გამოყენებით და რა ინტენსივობით უნდა შეაგროვონ პედაგოგებმა მონაცემები საკუთარი მოსწავლეების მიღწევების / სასწავლო პროცესის შესახებ; უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს; უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, დათქმულ ვადებში სკოლის დირექციას უნდა მიაწოდოს შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებული მასალები, რომლებიც სასწავლო პროცესის შესახებ შეიცავს ინფორმაციას; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. კურიკულუმის დანერგვის პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში კურიკულუმის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის უზრუნველყოფილია წინასწარ განსაზღვრული მექანიზმებისა და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით. აღნიშნული პროცესები აღწერილია დოკუმენტში – „სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც განსაზღვრულია კურიკულუმის გავრცელებისა და გაცნობის ფორმები, პასუხისმგებელი პირები და ინფორმაციის მიწოდების არხები.

დოკუმენტის მიხედვით, სკოლა იყენებს მრავალფეროვან საკომუნიკაციო პლატფორმებს, რათა უზრუნველყოს კურიკულუმის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სასკოლო სივრცეშიც – საინფორმაციო დაფების, ბეჭდვითი მასალებისა და სხვადასხვა საინფორმაციო რესურსის გამოყენებით. სკოლამ მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის გაზრდის მიზნით, მშობელთა ინფორმირების გზად აირჩია სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით ინფორმირება და საჭიროებისას პირადი შეხვედრა. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს კურიკულუმის გამჭვირვალობას, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და პროცესში მათი ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი, საშუალო და საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;

- კათედრის შეხვედრის ოქმები;
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სამივე საფეხურზე თითოეული საგანში შემუშავებული კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები მოიცავს სავალდებულო თემებს, რომლის ფარგლებშიც მუშავდება სამიზნე ცნებები. შუალედურ სასწავლო მიზნად განიხილება შემოქმედებითი დავალებები, რაც თავის მხრივ, მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. მასწავლებლებს მიეცათ რჩევები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გასაუბრების შედეგები კი ცხადყოფს, რომ მათ აქვთ მოცემული რჩევების გათვალისწინების მზაობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამივე საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეზეა ორიენტირებული. ყველა დოკუმენტი გამართულია შინაარსობრივად და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. კურიკულუმებში გაწერილია თემის შესაბამისი შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც მოსწავლეებში განავითარებს დაკვირვების, ვარაუდების გამოთქმის, კვლევის დაგეგმვა-ჩატარების და დასკვნების გამოტანის უნარებს. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა კვლევითი

	აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და მათ ინტერესებს, რაც თავის მხრივ, საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს და მოსწავლეებში ზრდის სწავლის მოტივაციას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წევრების მიერ, სამივე საფეხურზე (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებულია და გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორები. თითოეული საგნის სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლის განვითარებას უწყობს ხელს. კურიკულუმების შემუშავებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. აძლევს არჩევანის საშუალებას, ზოგჯერ სთავაზობს შემოქმედებითი დავალების რამდენიმე ვარიანტს, მოსწავლეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ, კომპლექსური დავალების ფარგლებში, მატერიალური სახით წარმოადგენენ თუ ელექტრონული სახით პროდუქტს. ეს პროცესები იწვევს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და აქტიურ ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში.
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე სისტემურად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის პრინციპებს. სასწავლო მიზნები ყველა კლასში ფორმულირებულია „მოსწავლე შეძლებს..." ფორმატით, რაც ცხადყოფს, რომ დაგეგმვის ცენტრში სასწავლო შედეგი და არა მასალის გადმოცემა დგას. კურიკულუმები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ განვითარებასა და თავისებურებებს. აქტივობები პირდაპირ ემსახურება ბავშვის ბუნებრივ სასწავლო სტილს. სამფაზიანი სტრუქტურა (ახლის შეთვისება → გამეორება-გაღრმავება → შემოქმედებითი გამოყენება), რომელიც ყველა კლასის კურიკულუმში თანმიმდევრულად გამოიყენება, უზრუნველყოფს ცოდნის მდგრადობას და სასწავლო მიზნის ეტაპობრივ მიღწევას. საგულისხმოა ასევე, რომ შეფასების კრიტერიუმები ასახავს არა მხოლოდ ცოდნას, არამედ მოსწავლის ჩართულობას,

	შემოქმედებითობასა და თანამშრომლობის უნარს, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგიკის არსებითი ნიშანია.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე, ჩანს თემა, რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. *<u>რჩევა</u>- სასურველია:* • *კურიკულუმის მოცემული თემა სრულად უნდა იყოს შევსებული ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად (ტელოვნებაში ბოლო თემები ჩასაწერია გრაფებში);* • *კლასების მიხედვით მეტი თემის, საკითხის დამუშავება;* • *თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შეჯამების საფუძველზე, სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომები და განვითარების ეტაპები. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელსაც საგნობრივი პედაგოგები იყენებენ სასწავლო წლის დაგეგმვისას. როგორც სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული აქვთ გასული აკადემიური წლის შედეგების ანალიზი, მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, სწავლების სუსტი და ძლიერ მხარეები, რათა ახალი სასწავლო წლის პროცესი დაიგეგმოს მოსწავლეთა ინტერესების

	გათვალისწინებით. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით. ***<u>რჩევა</u>: სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია გასწორდეს ტექნიკური შეცდომები, მეტი ყურადღება მიექცეს ინფორმაციების სათანადო გრაფებში განთავსებას, ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს საგნობრივი კურიკულუმების როგორც შინაარსობრივ, ასევე ტექნიკურ და ვიზუალურ მხარეს, შემუშავდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.***
მათემატიკა	კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისათვის. დოკუმენტი სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართულია და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. **(დაწყებითი კლასების კურიკულუმში რამდენიმე ადგილზე დასაზუსტებელია სამიზნე ცნების შესაბამისი ქვეცნებები, ასევე რესურსების გრაფაში მისათითებელია თემის შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან.)** მათემატიკის კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითად ორიენტირს წარმოადგენს შემოქმედებითი დავალებები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. ინტერვიუზე აღინიშნა,

	რომ კურიკულუმის დაგეგმვისას აქცენტი გაკეთებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და სწავლის პროცესი განიხილება, როგორც ცოდნის კონსტრუირება. ***<u>რჩევა:</u> სასურველია, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგებმა კურიკულუმების შედგენისას დააზუსტონ სამიზნე ცნების ქვეცნებები, ასევე მიუთითონ საკითხების შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოდან.***
სპორტი	ფიზიკური აღზრდის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკურ განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.
ტექნოლოგიები	სკოლის დირექციამ და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებმა სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავეს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. დოკუმენტი გაზიარდა კათედრების სხდომებზე. კათედრების მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტი წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს. კათედრამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისათვის. დოკუმენტი სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართულია და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების (მათემატიკა, სახელმწიფო ენა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

	ყველა საგნის კურიკულუმში (I–IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის სამივე საფეხურის საგნების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც თავისთავად გულისხმობს სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას, მოსწავლის წინარე ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მისვლას ახალი ცოდნის აღმოჩენამდე და ამ ცოდნის ცხოვრებასთან ტრანსფერით. საგნობრივ ჩარჩოებში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე. სკოლაში არსებობს არაფორმალური განათლების გამოცდილებაც საკლუბო მუშაობის სახით. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები - ეკოკლუბი, მათემატიკისა და ინგლისური ენის კლუბები. მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითი უნარის გამოყენება, გუნდური და ჯგუფური სამუშაო განუვითარებს თანამშრომლობის უნარს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ გრძელვადიან მიზნებს. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შემოქმედებით დავალებებში ნათლად ჩანს, რომ მოსწავლე აქტიურადაა ჩართული ყველა პრაქტიკული დავალებების შესრულებაში და გამოხატავს საკუთარ ვარაუდებს, მოსაზრებებს და დასკვნებს, რაც თავისთავად აძლევს

	მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას. კათედრის წევრებმა წარმოადგინეს კვლევის ანგარიშის და ექსპერიმენტის ჩატარების ფორმები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კათედრის მიერ შედგენილი კურიკულუმები მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს. შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. ჩანს რომ თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ასევე ჩანს თემის ფარგლებში შესასწავლი საკითხები, კონტექსტმაგალითები და რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტრონული ბმულები). ნათლად არის გამოკვეთილი შემოქმედებითი დავალების მიზანი და პროდუქტი. ***<u>რჩევა:</u> კარგი იქნება, თუ მომავალში გაითვალისწინებენ და გამოყოფენ, შემოქმედებითი ბუნების დავალება რომელ საკითხთან მიმართებაში ხორციელდება, რომელ სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს ფარავს. ასევე საკითხების კლასტერს თუ გააკეთებენ სამიზნე ცნებების მიხედვით.***
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები ყველა საფეხურზე პირდაპირ კორელაციაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებთან. დაწყებით საფეხურზე კურიკულუმი ორიენტირებულია ოთხი ძირითადი კომპეტენციის: მოსმენის, საუბრის, კითხვისა და წერის ეტაპობრივ განვითარებაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურისთვის განსაზღვრულ სტანდარტებთან. საბაზო საფეხურზე კურიკულუმი ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას კომუნიკაციური კომპეტენციისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების შესახებ. სხვადასხვა ტიპის ტექსტებთან მუშაობა, დისკუსიები რეალური ცხოვრებისეული თემების გარშემო და გრამატიკული სტრუქტურების კომუნიკაციურ კონტექსტში გამოყენება პირდაპირ ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საფეხურის დასასრულის შედეგებს.

	საგულისხმოა, რომ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში თემატიკა: ურთიერთობები, მედია, გარემო, კულტურა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნას მოსწავლის სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებაზე.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემატური ბლოკები და თემები. თემაში ასახულია შუალედური მიზნები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები, ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესში ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კურიკულუმში წარმოდგენილ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას.

	<u>რჩევა</u>: სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში სავალდებულო თემები გაიწეროს სტანდარტის მიხედვით. პედაგოგებმა გაითვალისწინონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი და სტანდარტის მიხედვით დახვეწონ კურიკულუმები, თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.
მათემატიკა	შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზნებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემოქმედებითობა სჭირდება. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი და სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები. კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეთათვის ფუნქციური უნარების განვითარების მნიშვნელობა და ამ მიზნით პედაგოგები ახორციელებენ პროექტებს. (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები). საბაზო-საშუალო საფეხურზე განხორციელებული პროექტისათვის მოსწავლეები დაჯილდოებულნი არიან ,,ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ მიერ 78-ე სასწავლო კვლევითი კონფერენციის მათემატიკის სექციაში I ადგილის მოპოვებისათვის.
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას.

ტექნოლოგიები	კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საფეხურების მიხედვით შეადგინეს კურიკულუმი სასწავლო საკითხების, თემების და შემოქმედებითი პროდუქტის დავალებების ცნებების მიხედვით. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგების მხრიდან ხდება განხორციელებული აქტივობებისა და მუშაობის პროცესის გაანალიზება და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაიგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები.

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის სამივე საფეხურის საგნების კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში საგანმანათლებლო რესურსად, ძირითადად, წარმოდგენულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა საგნის ფარგლებში, ვხდებით დამატებით ვიდეო/აუდიო/ფოტო რესურსებსაც, წარმოდეგნილია სხვა ციფრული რესურსები და პლატფორმები. რესურსები თემების მიხედვით

განაწილებულია/წარმოდგენილია ისე, რომ თითოეული მათგანი მიზნად ისახავს კონკრეტული სწავლის შედეგ(ებ)ის მიღწევას. მიუხედავად ამისა, მასწავლებლებს მიეცათ რჩევები და რესურსების გამრავალფეროვნების, დიფერენცირებული რესურსების ჩართვის , ციფრული რესურსების კონკრეტიზაციის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე არსებობს შესაბამისი, თუმცა მწირი სასწავლო რესურსები. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ ელ. რესურსებსაც ვიდეო ანიმაციების სახით. ***<u>რჩევა:</u> სასურველი იქნება, თუ პედაგოგები აქტიურად შეძლებენ ვირტუალური ლაბორატორიის ან სიმულაციური თამაშების ჩართვას სასწავლო პროცესში.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა საგნის კურიკულუმში გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მითითებულია მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგნის სტანდარტთან, თემასთან, საკითხთან, მოსწავლეთა ინტერესებთან. ეს ზრდის სწავლების მოტივაციას და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას.
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში რესურსების შერჩევა ყველა საფეხურზე მიზანმიმართულია და პირდაპირ უკავშირდება დასახულ სასწავლო შედეგებს. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება მრავალფეროვანი საშუალებები: სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული, აუდიო-ვიდეო მასალა, ბარათები, სათამაშო საგნები და პოსტერები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან მრავალფეროვან გარემოს და ემსახურება ბავშვის ასაკობრივ სასწავლო საჭიროებებს. საბაზო საფეხურზე რესურსების სპექტრი გაფართოებულია და შეესაბამება მოსწავლის მზარდ კოგნიტურ შესაძლებლობებს. გამოიყენება სტატიები, ვიდეო მასალა, ონლაინ რესურსები, სამუშაო ფურცლები და ფლიპჩარტი. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ რეალური,

	ავთენტური მასალები, მაგალითად, სტატიები მედიაზე, გარემოზე და ურთიერთობებზე, ქმნიან კავშირს სასწავლო პროცესსა და მოსწავლის ყოველდღიურ გამოცდილებას შორის, რაც ზრდის მოტივაციას და აღრმავებს გაგებას. ***<u>რჩევები:</u>*** 1. ***ციფრული რესურსების კონკრეტიზაცია*** - ყველა საფეხურზე "ონლაინ რესურსები" და "ინტერნეტი" ზოგადადა მითითებული, კონკრეტული პლატფორმებისა თუ ინსტრუმენტების დასახელების გარეშე. სასურველია კურიკულუმში პირდაპირ მიეთითებოდეს კონკრეტული ციფრული ბმულების მითითება, რადგან ეს გეგმის განხორციელებას გაამარტივებს და გაზომვადს გახდის. 2. ***დიფერენცირებული რესურსების ჩართვა*** - კურიკულუმები არ ითვალისწინებს სხვადასხვა სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებულ დამატებით რესურსებს. რეკომენდებულია გამაძლიერებელი და დამხმარე მასალების გათვალისწინება, განსაკუთრებით საბაზო საფეხურზე, სადაც მოსწავლეთა შორის განსხვავებები უფრო თვალსაჩინოა. 3. ***მოსწავლის მიერ შექმნილი რესურსების გაძლიერება*** - ზოგიერთ თემაში (მაგ. პოსტერების შექმნა) მოსწავლე თავადაც ქმნის სასწავლო მასალას, თუმცა ეს პრაქტიკა სისტემური არ არის. რეკომენდებულია, ეს მიდგომა გაფართოვდეს ყველა საფეხურზე, რადგან მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი ერთდროულად რესურსიცაა და შეფასების საშუალებაც.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე პედაგოგების მიერ შექმნილი დამატებითი რესურსები, ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, ბმულები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. კათედრა მრავალად წარმოადგენს არაფორმალური

	მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას და მოსწავლეთათვის შექმნილ რესურსებს. სკოლამ ცალკე დოკუმენტად წარმოადგინა რესურსების ბაზა.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: კურიკულუმი მოიცავს როგორც სახელმძღვანელოს, ასევე დამატებით ტექსტებს, აუდიო-ვიზუალურ მასალებს, ელექტრონულ რესურსებს, ანიმაციებს, დოკუმენტურ და მხატვრულ ფილმებს. ყველა რესურსი უკავშირდება სამიზნე ცნებებსა და შედეგებს. ***<u>რჩევა:</u> სასურველია, სამომავლოდ კურიკულუმის უფრო მეტად გამრავალფეროვნება საგანმანათლებლო რესურსებით.***
მათემატიკა	სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის კათედრა პირველ სხდომაზე არჩევს და შეთანხმებულად განსაზღვრავს გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალს - გრიფირებულ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს, მატერიალურ რესურსებს-კომპიუტერებს, პროექტორს, პლაკატებს, გეომეტრიული სხეულების მოდელებს და სხვა. სწავლა-სწავლებისათვის ასევე გამოყენებული აქვთ ელექტრონული რესურსებიც (ხანის აკადემია, ტელესკოლის გაკვეთილები, math.ge, ელექტრონული სახელმძღვანელო - „მათემატიკური წიგნიერება“ და სხვა). ყოველივე ეს ასახულია კურიკულუმების შესაბამის ნაწილში. ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, სწავლის სტილს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან

	მიზნებს. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები. სკოლა უზრუნველყოფილია სათანადო ინვენტარით და რესურსებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სათანადო დოკუმენტაცია, სადაც ნამდვილად ჩანს სკოლის აქტიური ჩართულობა სპორტში. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა) განვითარებას.
ტექნოლოგიები	დაგეგმილია რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებსა და ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. სკოლას არ ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, თუმცა მოსწავლეებისათვის, საგნების

მიხედვით, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სწავლება ხორციელდება აღნიშნული გეგმების შესაბამისად. რის მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით, ასევე წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, თითოეული მოსწავლის საჭიროებებს, უნარებს და შესაძლებლობებს. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები მორგებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. მასწავლებლების მიერ გეგმაში გაწერილია სხვადასხვა ბავშვის შესაძლებლობისა და საჭიროების მოთხოვნების შესაბამისი მატრიცები. სამივე საფეხურზე სკოლას, სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც გამარტივებული და ადვილად მისაღწევი მოკლევადიანი, შუალედური და გრძელვადიანი მიზნებია გაწერილი.
უცხოური ენები	კურიკულუმებში ჩანს, რომ ინკლუზიურობა და დიფერენციაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული. დაწყებით საფეხურზე აქტივობების მრავალფეროვნება: სათამაშო, ვიზუალური, სმენითი და მოძრაობითი ბუნებრივად ემსახურება სხვადასხვა ტიპის მოსწავლეს. საბაზო საფეხურზე კი ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური მუშაობის კომბინაცია გარკვეულ მოქნილობას ქმნის.

	თუმცა, კურიკულუმებში პირდაპირ არ ჩანს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე მორგებული სტრატეგიები. არც ძლიერი მოსწავლეებისთვის გამაფართოებელი დავალებებია გათვალისწინებული და არც სირთულის მქონე მოსწავლეებისთვის დამხმარე ჩარჩო. კურიკულუმში პირდაპირ უნდა გაიწეროს დიფერენცირებული დავალებები, მაგალითად, თითოეული თემისთვის მიეთითოს "საბაზისო დონის დავალება" და "გაღრმავებული დონის დავალება". ასევე სასარგებლო იქნებოდა ჯგუფური და წყვილური სამუშაოების პირდაპირ ჩართვა კომპლექსური დავალებების სვეტში, რაც სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებს ერთმანეთის მხარდაჭერის საშუალებას მისცემს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/ დიფერენცირებული. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ კათედრა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს შესაბამის რესურსებს, სკოლას აქვს მოსწავლის შესაძლებლობებზე გათვლილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც ხელს უწყობს სკოლაში დიფერენცირებას და ინკლუზიურ მიდგომებს. კურიკულუმი ასევე იძლევა მოდიფიცირების შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული მრავალფეროვანი რესურსების და სასწავლო საკითხების მიხედვით. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. *<u>რჩევა:</u> სასურველია* • *ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში დეტალურად იყოს ჩაშლილი შუალედური სასწავლო მიზნის შესასრულებლად აქტივობები და შესაბამისი რესურსი, მოსწავლეთა შესაძლებლობების ფარგლებში.*

	• *მოკლევადიანი და შუალედური მიზნები დეტად დაკონკრეტებას საჭიროებს კონკრეტულ ქვეცნებებთან მიმართებით.*
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით პედაგოგები ახდენენ კომპლექსური დავალების პირობის მოდიფიცერებას. მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას თავად აირჩიონ შესასრულებელი პროდუქტებიდან მათთვის სასურველი და მასზე იმუშაონ. *<u>რჩევა:</u> კურიკულუმი ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული მიდგომების ელემენტებს შეიცავს, თუმცა ეფექტურობის გაზრდისთვის სასურველია კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები, მაგალითად, როგორ ადაპტირდება დავალება განსხვავებული აკადემიური დონის მქონე მოსწავლეებისთვის.*
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. კათედრა სასწავლო პროცესში იყენებს მოსწავლეებისადმი დიფერენცირებულ მიდგომებს და არჩევს მათთვის ადაპტირებულ აქტივობებს. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომას, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ დაწყებით და საბაზო საფეხურზე სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. კათედრაზე

	შემუშავებულია შესაბამისი ისგ. დოკუმენტში მითითებულია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, ადაპტირებული დავალება, მიზნის მისაღწევი აქტივობები და შეფასება.
სპორტი	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, აქტიურად იღებენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში მონაწილეობას, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სპორტულ ღონისძიებებში. იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში აღწერილი ფიზიკური აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება. დაწყებით კლასში სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, ხოლო კათედრაზე შემუშავებულია ისგ, რომელშიც გაწერილია გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლ კოხნარის საჯარო სკოლაში შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. თავდაპირველად გამოგზავნილ დოკუმენტაციაში სკოლად არ ჰქონდა წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. დამატებით დოკუმენტაციაში სკოლამ წარმოადგინა რამდენიმე რუბრიკა, სხვადასხვა საგნის ფარგლებში. ასევე გასაუბრების დროს, გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკებზე მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება გასაუბრების შემდგომ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში. თუმცა სკოლას მიეცა რჩევები, როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასურველია, რომ განმავითარებელ შეფასებას არ ჰქონდეს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი სახე, შეიქმანს მათი ფორმები და საჭიროებისამებრ, მიაწოდონ მოსწავლეებსა და მშობლებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს წარმოადგინეს კვლევის და ექსპერიმენტის შეფასების რუბრიკებიც. თუმცა გამოიკვეთა, რომ აღნიშნული რუბრიკები საჭიროებს უფრო მეტად დახვეწას და დაზუსტებას კონკრეტული თემებთან/საკითხთან მიმართებაში. ***<u>რჩევა:</u> სასურველია, კონკრეტული აქტივობების ან დავალებების შესრულებისას მასწავლებლებმა შეიმუშაონ შესაბამისი რუბრიკები კონკრეტული მისაღწევი შედეგებით. ასევე, მივეცი რჩევა, რომ მოსწავლეებს წინასწარ გააცნონ შეფასების კრიტერიუმები, რაც აძლევს მათ საშუალებას ორიენტირებულნი იყვნენ სასწავლო მიზანზე და შედეგზე.***
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მოსწავლის და სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრა, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს იყენებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წარმოადგინეს დოკუმენტაციის სახით. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს ძირითადად აფასებენ

	განმავითარებელი შეფასებით, სიტყვიერად. ასევე აღნიშნეს, რომ მუშაობენ შემოქმედებითი დავალებების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების დახვეწაზე
უცხოური ენები	კურიკულუმებში შეფასების კრიტერიუმები ზოგადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიდგომას, ფასდება არა მხოლოდ ცოდნა, არამედ უნარი და ჩართულობაც. დაწყებით საფეხურზე კრიტერიუმებში ჩანს სწორი გამოთქმა, აქტიურობა და ლექსიკური მასალის დასწავლა, რაც ამ საფეხურისთვის შესაბამისი მოლოდინია. საბაზო საფეხურზე კრიტერიუმები უფრო რთულდება, ემატება არგუმენტაცია, შემოქმედებითობა და თანამშრომლობის უნარი. პოზიტიურია ის, რომ შეფასება არ არის მხოლოდ ტესტზე ორიენტირებული. პრეზენტაციები, პოსტერები, დიალოგები და ჯგუფური პროექტები ქმნიან შეფასების მრავალფეროვან სურათს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის კომპეტენციურ მიდგომასთან კარგ შესაბამისობაშია. ***<u>რჩევები:</u>*** ***1. სასურველია, შეფასების კრიტერიუმები უფრო გაზომვადი გახდეს*** *- ზოგიერთ ადგილას კრიტერიუმი ძალიან ზოგადია, მაგალითად, "აქტიურობა" ან "ჩართულობა." უმჯობესია დაზუსტდეს, რას ნიშნავს კონკრეტულად, მაგალითად, დაიწეროს "მოსწავლე სულ მცირე ორჯერ მონაწილეობს დისკუსიაში."* ***2. თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება დაემატოს*** *- საბაზო საფეხურზე მოსწავლეს უკვე შეუძლია შეაფასოს საკუთარი და თანაკლასელის ნამუშევარი. ეს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთანაა შესაბამისი და ამავდროულად მოსწავლის პასუხისმგებლობას ზრდის.* *3. შეფასების რუბრიკებში მიზანშეწონილი იქნება ენობრივი კომპეტენციის კრიტერიუმები კიდევ უფრო კონკრეტულად გაიწეროს უცხოური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად, გრამატიკული სისწორე, ლექსიკის მრავალფეროვნება და კომუნიკაციური ეფექტიანობა ცალ-ცალკე კრიტერიუმად გამოიყოს.*

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე შემუშავებული შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, თუ როგორ უნდა შეაფასონ მოსწავლეები კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით და დაადგინონ მათი მიღწევების დონე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკები მორგებულია კონკრეტულ დავალებებზე, შეფასების სისტემა მასწავლებლებს ეხმარება გაანალიზონ, კრიტერიუმთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად მიმართავენ დიაგნოსტიკას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. *<u>რჩევა:</u> სასურველია* • *შეფასების სქემები კონკრეტულ საკითხთან, და არა მარტო, თემებთან მიმართებით შეიქმნას;* • *შემაჯამებლის ანალიზში გამოიკვეთოს კონკრეტულად, რომელი სამიზნე ცნების ფარგლებში რა შედეგია მიღწეული;* • *შემაჯამებლის დავალებები/ დიაგნოსტიკური ტესტები მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას (დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.)*
სახელმწიფო ენა	შეფასების რუბრიკები შემუშავებულია სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის სავალდებულო მინიმუმი, წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასება მიემართებოდეს გრძელვადიანი მიზნებს.

	<u>რჩევა:</u> სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ, კონკრეტულად რა კომპონენტებში სჭირდებათ გაუმჯობესება. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.
მათემატიკა	კათედრა იყენებს სამკომპონენტიან შეფასებას. მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. კათედრამ წარმოადგინა ორივე სახის შეფასების რუბრიკის ნიმუში სამივე საფეხურისათვის. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სხვა რუბრიკებიც, რომლებიც ზოგადია და საჭიროებს მეტ კონკრეტიკასა და მორგებას სამიზნე ცნებებსა და ინდიკატორების მისაღწევ შედეგებზე. სასწავლო პროცესში გამოიყენება ზეპირი და წერილობითი უკუკავშირის ფორმებიც. (განსაკუთრებით დაწყებით კლასებში). კათედრამ განახორციელა მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება სამივე საფეხურზე და წარმოადგინა შესაბამისი მასალა. ინტერვიუდან ირკვევა, რომ პედაგოგები სწავლა- სწავლების პროცესს წარმართავენ გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრისკენ ორიენტირებული აქტივობების შესაბამისად. კათედრა აგრძელებს მუშაობას და სამომავლოდ შექმნის ყველა იმ შემოქმედებითი დავალების შესაბამის რუბრიკას, რაც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში.

სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგანში სკოლას აქვს წარმოდგენილი განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან. კათედრამ წარმოადგინა ორივე სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბუნებისმეტყველო კათედრის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის შეფასების რუბრიკები;*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა;*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ანგარიში და მოსწავლეთა პრეზენტაციები.*
- *საბუნებისმეტყველო კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი;*
- *საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა ნამუშევრები;*
- *მათემატიკის შემაჯამებელი დავალების ანალიზები;*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები;*

- *საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმები - ოქმი #1 , ოქმი #2*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პორტფოლიო;*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;*
- *საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის განხორციელებული პროექტების რეფლექსიები; („თემი და ლიდერობა“ - მოქალაქეობა);*
- *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა - გეოგრაფია/ქიმია (მე-9 კლასი);*
- *ეკო კლუბის სამოქმედო გეგმა;*
- *ეკო კლუბის წესდება;*
- *ეკო კლუბის რეფლექსია პროექტზე - „ტყე სიცოცხლის წყაროა“*
- *მათემატიკაში დიფერენცირებული მიდგომით შესრულებული აქტივობების ამსახველი მასალა;*
- *მათემატიკის გაკვეთილის გეგმა (მე-9 კლასი);*
- *მათემატიკის მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ამსახველი მასალა;*
- *მათემატიკის დიაგნოსტიკური წერის შეფასების ამსახველი მასალა;*
- *მათემატიკის კათედრაზე განხორციელებული პროექტის გეგმა - „ რიცხვების სამყარო";*
- *პროექტის გეგმა „მათემატიკა მდგრადი განვითარებისათვის- სკოლის ბაღის პროექტის მაგალითზე "";*
- *მოსწავლეთა 78-ე სასწავლო-კვლევითი კონფერენციის მათემატიკის სექციაში I ადგილის მოპოვების დამადასტურებელი სიგელი;*
- *მათემატიკის კათედრის სამოქმედო გეგმა და სხდომის ოქმი;*
- *ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმები;*
- *ესთეტიკის კათედრის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *ესთეტიკის კათედრის შეფასების სქემები;*
- *ესთეტიკის კათედრის შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზები;*
- *ესთეტიკის კათედრის სამოქმედო გეგმა, ოქმები;*
- *ესთეტიკის კათედრის საგნის მასწავლებლის ანგარიში;*
- *ესთეტიკის კათედრის ღია გაკვეთილის დოკუმენტაცია;*
- *ესთეტიკის კათედრის საგნის(მუსიკის)მასწავლებლის პორტფოლიო;*
- *ესთეტიკის კათედრის პროექტების/ ღონისძიებების დოკუმენტაცია- თვალსაჩინოება;*

- *სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *სახელმწიფო ენის შეფასების რუბრიკები;*
- *არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებული სასწავლო და სოციალური პროექტები;*
- *სახელმწიფო ენის დიაგნოსტიკური წერები და მათი ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;*
- *სახელმწიფო ენის შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;*
- *სახელმწიფო ენის ინტეგრირებული გაკვეთილები;*
- *სახელმწიფო ენის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *სახელმწიფო ენის კათედრის ანგარიშები და ოქმები;*
- *ქართული ენის და ლიტერატურის კათედრის პორტფოლიო;*
- *ქართული ენის მასწავლებლის მასწავლებლის სამოქმედო გეგმა;*
- *ფიზიკურის აღზრდის კურიკულუმები; (I-XII კლასები);*
- *ფიზიკური აღზრდის შეფასების კურიკულუმები;*
- *ფიზიკური აღზრდის პედაგოგთა მიერ ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია;*
- *დაწყებითი კლასების კათედრის 2025-2026 სასწავლო წლის მუშაობის სამოქმედო გეგმა;*
- *ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესი;*
- *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;*
- *მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რისი თქმის საფუძველსაც გვაძლევს პედაგოგებთან ინტერვიუები, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლეების ქმნიან სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს. კათედრები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტს, სკოლაში არსებობს საკლუბო მუშაობის პრაქტიკა და მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ჩართულები ამ პროცესებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება სკოლის კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებითა და შექმნილი ნამუშევრებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და წარიმართება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამას ადასტურებს სკოლის და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სკოლის ვებგვერდზე ატვირთული მოსწავლეთა აქტივობების, ნამუშევრების ფოტო და ვიდეო მასალა.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. კურიკულუმში გაწერილი დავალებები და შესაბამისი აქტივობები, თემატური სწავლება, კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტის (მოსწავლის ნამუშევრებით, პროექტებით და ფოტო მასალებით), სადაც ასახულია კომპლექსური /შემოქმედებითი დავალებების, პროექტების და სხვა აქტივობების ამსახველი კადრები, აქტივობების განხორციელებისას სკოლა იყენებს მათ ხელთ არსებულ ძირითად და დამხმარე რესურსებს. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და ანალიზი. კათედრა გეგმავს კათედრაზე გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების მიხედვით ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.

	<u>რჩევა:</u> ***სასურველია, კათედრის ოქმის შედგენისას საკითხად განისაზღვროს არა საგნის/ების კონკრეტული პროექტი/აქტივობა, არამედ ზოგად საჭირო მოცემულობა.***
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის რეალიზება და განხორციელება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის აქტიური, შემოქმედი და კრიტიკულად მოაზროვნე, რაც ძირითადად მიიღწევა შემოქმედებითი ტიპის დავალებებით. მოსწავლეთა აქტიურ სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის, სამივე საფეხურზე განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. ყოველივე ეს იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად.
სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ

	მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეთანხმებულია სკოლის დოკუმენტაციასთან და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა უზრუნველყოფს სკოლას შესაძლებლობას ოპერატიულად და მოქნილად უპასუხოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ სხვადასხვა საჭიროებას. სკოლის შიდა რეგულაციებითა და შესაბამისი დოკუმენტებით განსაზღვრულია მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობასა და ეფექტიან მართვას.

სკოლის შინაგანაწესით დადგენილია მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ადმინისტრაციის ინფორმირების წესი, აღნიშნული მექანიზმი საშუალებას იძლევა სკოლამ სწრაფად მოახდინოს რეაგირება მოულოდნელ სიტუაციებზე და თავიდან აიცილოს სასწავლო პროცესის შეფერხება.

სკოლაში სასწავლო წელი დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული საგანმანათლებლო აქტივობების შესაბამისად. საგნობრივი კათედრები გეგმავენ დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარების პერიოდებს, ასევე განსაზღვრავენ შეფასების

კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურობასა და გამჭვირვალობას. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე კათედრები საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ სასწავლო პროცესის კორექტირებას.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესიც ეფუძნება სასწავლო პროცესში გამოვლენილი საჭიროებების ანალიზს. მასწავლებლები და კათედრები სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვების, დიაგნოსტიკური შეფასებებისა და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავენ გაუმჯობესების მიმართულებებს და გეგმავენ შესაბამის ცვლილებებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სკოლა დროულად რეაგირებდეს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ საჭიროებებზე და სწავლა-სწავლების პროცესი იყოს მოქნილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ეფექტიანი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ შეფასების კრიტერიუმებში უნდა აისახებოდეს მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა, რათა მოსწავლესა და სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდოა. კერძოდ, სკოლა საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე, რის დასტურია შეფასების სისტემის შემუშავებული მეთოდოლოგია. მტკიცებულებად სკოლის მიერ წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თუმცა მიუხედავად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, საგნობრივ კათედრებს მეტი მუშაობა სჭირდებათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების დახვეწაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე შეფასების სიტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. შეფასების სიტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმატებით იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების პრაქტიკას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ ზუსტად გაიაზრონ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ მათ პრაქტიკაში.
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში შეფასების სისტემა საერთო ჯამში აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს. შეფასების კრიტერიუმები ყველა საფეხურზე წინასწარ არის განსაზღვრული და პირდაპირ უკავშირდება სასწავლო მიზნებს, რაც სისტემის ვალიდურობასა და გამჭვირვალობაზე მიუთითებს. შეფასება მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც ზეპირ, ისე წერით დავალებებს, ჯგუფურ პროექტებსა და შემოქმედებით პროდუქტებს, რაც სისტემას უფრო სამართლიანს ხდის.

	<u>რჩევა:</u> სანდოობისა და ობიექტურობის გასაძლიერებლად სასურველია შეფასების დეტალური რუბრიკები ყველა დავალებისთვის შემუშავდეს, რადგან ამჟამად ზოგიერთი კრიტერიუმი საკმარისად კონკრეტული არ არის.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ნიმუშები. სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები მარტივად აღქმადია, კრიტერიუმები ცნებათა ინდიკატორებს მიემართება და დავალების მიზანს შეესაბამება, ყველა მოსწავლე ფასდება ერთი და იგივე კრიტერიუმით, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, რის მიხედვით ფასდებიან. ასევე მშობლებისათვისაც ცნობილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები. შესაბამისად, შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.
სახელმწიფო ენა	სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამამტკიცებული დოკუმენტაცია (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) რუბრიკები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. ***<u>რჩევა:</u> სასურველია, შემუშავდეს ყველა შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასება უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენონ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე თუ შემოქმედებით პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.***

მათემატიკა	ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს ქმნიან საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებზე, სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისად გააზრებული აქვთ მოსწავლეთა შეფასების თავისებურებები და იციან, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შეფასების პრინციპებს. ასევე, შეფასების სისტემაზე მუშაობისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის პედაგოგთა გამოცდილებები. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებული, რა კრიტერიუმებით ფასდებიან, მათ გააზრებული აქვთ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შეფასების რუბრიკა გამჭირვალეა და მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული შეფასების მნიშვნელობა. სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით

ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელშიც გაწერილია ვერიფიკაციის მიზნები, ამოცანები, ვერიფიკაციის პრინციპები და პროცესი. ვერიფიკაციის პროცესის ძირითადი პრინციპებია შეფასების ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა და სანდოობა. აღნიშნული პრინციპების დაცვა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სამართლიან და სანდო შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა იცავს დოკუმენტების წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები

მატერიალური სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არქივში 3 წლის განმავლობაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულიმები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა;
- მასწავლებელთა სამოქმედო გეგმები;
- განხორციელებული პროექტების გეგმები;
- კათედრების სამოქმედო გეგმები და სხდომის ოქმები;
- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები;
- საგნის მასწავლებლების ანგარიშები;
- ღია გაკვეთილების დოკუმენტაცია;
- საგნის მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებული სასწავლო და სოციალური პროექტები;
- დიაგნოსტიკური წერები და მათი ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;
- დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა;
- შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;
- ინტეგრირებული გაკვეთილები;

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსსაც. დამხმარე სასწავლო რესურსები კი უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობასა და მოსწავლეთა მიერ მიზნობრივი შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა კათედრა იყენებს სხვადასხვა თვალსაჩინოებს: მულაჟებს, ტაბულებს, მიკროსკოპს. სასკოლო ლაბორატორიაში არსებულ ექსპერიმენტისთვის საჭირო მასალებს. ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ვიდეო ანიმაციებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, მწირი რესურსების მიუხედავად, ახერხებენ მარტივი ექსპერიმენტების ჩატარებას ხელმისაწვდომი რესურსებით, რაც მოსწავლეებისთვის საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სკოლა იყენებს ციფრულ და მატერიალურ დამატებით რესურსს, რაც დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით თითოეულ საგანში. (კურიკულუმებში, შემოქმედებით დავალებებში, მოსწავლეთა ნამუშევრებში.)

უცხოური ენები	კურიკულუმებში მითითებული რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები და აუდიო-ვიდეო მასალები რეალურად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. დაწყებით საფეხურზე "New Building Blocks 4", საბაზო საფეხურზე კი "New Building Bridges 8", "Right on 3" და "Tune Up 3" სახელმძღვანელოები სასწავლო პროცესის სტრუქტურულ საფუძველს ქმნიან. ***<u>რჩევა:</u>*** ***მასწავლებლის მიერ შექმნილი მასალების დამატება*** *- კარგი იქნება, თუ გეგმაში გამოჩნდება, რომ მასწავლებელი საჭიროების შემთხვევაში თავადაც ქმნის დამხმარე მასალებს, სამუშაო ფურცლებს, ვიზუალურ დამხმარეებს და სხვა.*
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს (ფილმებს, სპექტაკლების ჩანაწერებს), ტელე სკოლის გაკვეთილებს. კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრა სკოლის ადმინისტრაციას აცნობს თავის საჭიროებებს რესურსებთან მიმართებით.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. დამხმარე სასწავლო რესურსებად კურიკულუმში ასახულია ონლაინრესურსები, YouTube-ზე განთავსებული გაკვეთილების განხილვები და ფილმები.

	<u>რჩევა:</u> სასურველია, კურიკულუმს დაემატოს სხვა ტიპის რესურსებიც, მაგალითად: ლიტერატურული მასალის უკეთ გასაგებად პოდკასტები, აუდიოწიგნები; მწერალთა ბიოგრაფიების უკეთ შესამეცნებლად ონლაინმუზეუმები და ვირტუალური ტურები; სამეცნიერო-პოპულარული სტატიები და ესეები ლიტერატურული კონტექსტისა და კონკრეტული თემების უფრო სიღრმისეულად გასაგებად.
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა და საგნობრივ კურიკულუმებშიც თვალნათლივ ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ, როგორც ძირითად (სახელმძღვანელო), ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამასთან შესაბამისობას, ზრდის სწავლების ხარისხს, მოსწავლეებისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო მასალა, აძლიერებს მათ მოტივაციასა და ინტერესს.
სპორტი	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ფიზიკური აღზრდის სწავლა-სწავლების პროცესის დროს აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას და განვითარებას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. კურიკულუმები და მათში გაწერილი როგორც პრაქტიკული (მძლეოსნობის ელემენტები, ტანვარჯიშის ელემენტები, გასართობი თამაშები ფეხბურთის, ხელბურთის და კალათბურთის ელემენტებით, ძალისმიერი ვარჯიშებით, ლაშქრობა) და თეორიული (მაგ., დაბალანსებული კვება, ჰიგიენა) შინაარსის თემები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე, კურიკულუმებში გაწერილი აქტივობები და რესურსები

	იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, რაც ხდება პედაგოგების ერთობლივი განხილვისა და ანალიზის შედეგად კათედრების შეხვედრებზე. პედაგოგები მსჯელობენ, რამდენად დაეხმარათ დამატებითი რესურსი სასწავლო მიზნების მიღწევაში. დამხმარე რესურსის შერჩევას პრიორიტეტი ენიჭება ოფიციალურ ვებ-გვერდებს. დამატებით რესურსად გამოიყენებენ როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების მიერ შექმნილ შემოქმედებით პროდუქტს, რომლებსაც პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა აღჭურვილია სასკოლო ლაბორატორიებით, თუმცა რესურსები არის მწირი. ლაბორატორიაში არის მულაჟები, თვალსაჩინოებები, ტაბულები, ხელსაწყოები და მიკროსკოპი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე - სკოლა აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახავენ მათ სასკოლო კურიკულუმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში.
უცხოური ენები	სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს ყველა საფეხურზე, რაც თავისთავად რესურსის ვალიდაციის მთავარი გარანტიაა. დამხმარე მასალები, აუდიო-ვიდეო რესურსები, სამუშაო ფურცლები და ონლაინ მასალები შერჩეულია სახელმძღვანელოსთან შესაბამისობის პრინციპით, რაც მათ სანდოობას უზრუნველყოფს. კათედრაზე კურიკულუმის განხილვისა და გადახედვის პრაქტიკა კი დამატებით გარანტიას ქმნის იმისა, რომ გამოყენებული რესურსები შეფასებულია და დამტკიცებული კოლეგიალურად.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნებში სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც დასტურდება პედაგოგებთან გასაუბრებით, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების დაცვას. სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.

სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღწერეს თანამშრომლობის პროცესები, რომ თავად ირჩევენ რესურსებს საკუთარი გამოცდილებისა და შეფასების საფუძველზე და ერთმანეთს უზიარებენ.
მათემატიკა	ინტერვიუზე აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას ახდენენ კათედრის წევრები. ყველა რესურსი, რომელიც გამოყენებულა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად, სრულად შეესაბამება ესგ-ით და საგნის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.
სპორტი	სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს პრინციპებით ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ. კომპლექსური ტიპის დავალებები ითვალისწინებენ, რომ მათზე მუშაობისას პროცესში ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის დაშენება.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. გაკვეთილები ეფუძნება შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს, რომლებიც გაწერილია საგნობრივ კურიკულუმში.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს.

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, (რომლის წიგნადი ფონდიც საჭიროებს გამრავალფეროვნებას, თუმცა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის და აქტიურად იყენებენ ბიბლიოთეკის მომსახურებას, ჰყავთ ბიბლიოთეკარი, რომელიც კონსულტაციას უწევს მოსწავლეებს და სთავაზობს სხვადასხვა აქტივობას), კომპიუტერული ლაბორატორია (მოძველებული კომპიუტერებით, თუმცა ბუკებისა და ლეპტოპების საშუალებით ხორციელდება შესაბამისი აქტივობები). სირთულეს წარმოადგენს საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება, რადგან ლაბორატორიებში არსებობს შესაბამისი აღჭურვილობის სიმწირე, თუმცა საგნის მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ სასწავლო პროცესი იყოს საინტერესო და მრავალფეროვანი, ხელი შეუწყონ მოსწავლეებში კვლევითი უნარების განვითარებას. სპორტდარბაზის არარსებობის გამო სრულყოფილად არ ტარდება სპორტის გაკვეთილები, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ეს კი უარყოფითად აისახება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის პროცესში. შესაბამისი რესურსების სიმცირე კი ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესის უფრო საინტერესოდ წარმართვას და ასევე თეორიული ცოდნის ტრანსფერს.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2.2.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლის შენობაში მოეწყობა თანამედროვე სტანდარტის სპორტული დარბაზი. ამ მიზნით სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი საქართველოს განთლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, მოამზადებენ ხარჯთაღრიცხვას, მოახდენენ ბაზრის მოკვლევას, რათა მოიძიონ შესაბამისი ორგანიზაცია, რომელიც შეასრულებს სპორტული დარბაზის მოწყობის სამუშაოებს. ვადად ნავარაუდევია 2027 წლის 1 თებერვალი.</u>

ამავე ინდიკატორთან მიმართებით წარმოდგენილი დოკუმენტით სკოლა გეგმავს ლაბორატორიის განახლებისა და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობას. შეადგენენ ხარჯთაღრიცხვას, მოიძიებენ ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ შესაბამის კანდიდატს დასახული სამუშაოს შესასრულებლად. ვადად ნავარაუდევია 2026 წლის 1 სექტემბერი.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. .

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არსებული სასწავლო რესურსები არ შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, სივრცით და მატერიალურ შესაძლებლობას, რადგან სკოლას არ აქვს ლაბორატორია, რაც მნიშვნელოვანი დანაკლისია **საბაზო და საშუალო** საფეხურების სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. **სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც, სკოლა იზრუნებს ლაბორატორიის განახლებისა და თანამედროვე სტანდარტებით მოწყობისათვის. განსაზღვრულია ადამიანური და ფინანსური რესურსი, ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა და რეალისტური ვადები. იმის გათვალისწინებით, რომ არა უგვიანეს 2026 წლის 1 სექტემბრისა განახლდება ლაბორატორია და მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სკოლა იყენებს ციფრულ და მატერიალურ დამატებით რესურსს, რაც დასტურდება კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით თითოეულ საგანში. (კურიკულუმებში, შემოქმედებით დავალებებში, მოსწავლეთა ნამუშევრებში.)
უცხოური ენები	სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა, რომელიც ყველა კურიკულუმშია მითითებული, საკმარისია დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. საკლასო გარემო

	იძლევა როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობის საშუალებას, ხოლო აუდიო-ვიდეო აღჭურვილობა უზრუნველყოფს მოსმენისა და საუბრის უნარების განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა რაოდენობის, სივრცითი და მატერიალური შესაძლებლობების, ასევე ადგილობრივი საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლაში წარმოდგენილი რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებით ან და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ეფექტურობას. პედაგოგების მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები მათ შორის ინტერაქტიული, შემოქმედებითი და არაფორმალური განათლების კომპონენტები ხელს უწყობს მოსწავლეთა: ენობრივი უნარების განვითარებას, კომუნიკაციური კომპეტენციების გაუმჯობესებას, კულტურული ცნობიერების გაფართოებას.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, გრაფიკული ორგანიზატორებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით, პროექტორით, ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
მათემატიკა	როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ, იმის გამო რომ სკოლაში კლასები არ არის მრავალრიცხოვანი, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა

	უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი ფიზიკური აქტივობები ემსახურება მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. გასაუბრების საფუძველზე გამოჩნდა, რომ ბავშვები მონაწილეობას ღებულობნ სასკოლო ფესტივალებში, მხიარულ სტარტებში, მოძრავ თამაშებში. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი (თეორიული, პრაქტიკული) და კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ ვითარებას. სკოლას არ აქვს დახურული სპორტული დარბაზი. ამის გამო ვერ ხერხდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიზნების მიღწევა **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურებზე. **სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც, დაწესებულების შენობაში მოეწყობა თანამედროვე სტანდარტის დახურული სპორტული დარბაზი. განსაზღვრულია ადამიანური და ფინანსური რესურსი, ჩართული მხარეები, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკები და ამ რისკის დადგომის ალბათობა და რეალისტური ვადები. იმის გათვალისწინებით, რომ არა უგვიანეს 2027 წლის 1 თებერვლისა მოეწყობა დახურული სპორტული დარბაზი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას გააჩნია მოძველებული ტექნიკური საშუალებები: კომპიუტერი, პროექტორი, თუმცა რადგან კლასში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა და უმეტესობას აქვს ბუკები, სასწავლო პროცესს ხელი არ ეშლება. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს როგორც

	აღნიშნა ტელეფონის ინტერნეტის გაზიარებით ახერხებს დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი, რომელიც შესაბამისია კანონმდებლობასთან, ამის თქმის საშუალებას გვაძლევს მასწავლებელთა ელექტრონული ბაზა და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *შემოქმედებითი დავალების განხორციელების ამსახველი მასალა;*
- *შემაჯამებელი დავალების ანალიზები;*
- *დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი მასალა;*
- *კათედრების სამოქმედო გეგმები და სხდომის ოქმები;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *შეფასების სქემები;*
- *საგნის მასწავლებლის ანგარიში;*
- *ღია გაკვეთილის დოკუმენტაცია;*

- *პროექტების/ ღონისძიებების დოკუმენტაცია- თვალსაჩინოება;*
- *საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;*
- *არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებული სასწავლო და სოციალური პროექტები;*
- *დიაგნოსტიკური წერები და მათი ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;*
- *შემაჯამებელი დავალებები და მათი ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;*
- *ინტეგრირებული გაკვეთილები;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *მასწავლებელთა ელექტრონული ბაზა;*
- *მასწავლებელთა ხელშეკრულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით – „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, სადაც დეტალურად არის გაწერილი მონიტორინგისა და შეფასების ფორმები, პასუხისმგებელი პირები და პროცესის ეტაპები.

მონიტორინგის პროცესში ჩართული არიან როგორც მასწავლებლები და საგნობრივი კათედრები, ისე სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის კათედრის დებულების მიხედვით, პედაგოგები ინდივიდუალურად და კათედრების დონეზე ახორციელებენ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების, მიღებული შედეგების ანალიზს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ ცვლილებებს.

მონიტორინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელება და რამდენად შეესაბამება მოსწავლეთა შედეგები დაგეგმილ სასწავლო მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მიზანია არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის ანალიზი, არამედ გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები განიხილება საგნობრივი კათედრების შეხვედრებზე, სადაც ხდება სწავლა-სწავლების პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა.

კათედრები მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესში შესაბამის ცვლილებებს, ახდენენ შეფასების ინსტრუმენტების ან სასწავლო აქტივობების დახვეწას და საჭიროების შემთხვევაში, კურიკულუმის გადახედვას.

აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ასევე მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლის ადმინისტრაციას, რომელიც კათედრების ანგარიშებისა და გაკვეთილებზე დაკვირვების საფუძველზე აანალიზებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებას და პრობლემების გადაჭრას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტშიც ვკითხულობთ შემდეგს: „მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ“. მასწავლებლებთან გასაუბრებით ასევე დგინდება, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას და სასკოლო საზოგადოების საჭიროებებზეა მიმართული.

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ კონტროლზე, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოიყენება მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიწოდების, გამოცდილების გაზიარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

საგნობრივი კათედრების ფარგლებში მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკებს, განიხილავენ სასწავლო პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს და ერთობლივად გეგმავენ მათი გადაჭრის გზებს. აღნიშნული თანამშრომლობითი მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული მხარდაჭერის გარემოს ჩამოყალიბებას.

ამასთანავე, სკოლის ადმინისტრაცია მონიტორინგის პროცესში აქტიურად არის ჩართული როგორც გაკვეთილებზე დაკვირვების, ისე თვითშეფასების პროცესის მეშვეობით. მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები მიმართულია მასწავლებლების საქმიანობის მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *კათედრების ანგარიშები;*
- *სადიაგნოსტიკო ტესტის ნიმუშები;*
- *მოსწავლეთა ნაშრომების ნიმუშები;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სამოქმედო გეგმა.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების სისტემა ეფუძნება მრავალფეროვან წყაროებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას. სკოლის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ტიპის

აქტივობებისა და დავალებების საფუძველზე. შეფასების ძირითად წყაროებს წარმოადგენს საკლასო აქტივობები, საშინაო დავალებები და შემაჯამებელი სამუშაოები.

სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება, რაც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლის ცოდნის საბოლოო შედეგის დაფიქსირებას, ისე სწავლა-სწავლების პროცესში მისი პროგრესის მხარდაჭერას. გარდა ამისა, შეფასების მნიშვნელოვანი წყაროა დიაგნოსტიკური წერები, რომლებიც ეხმარება მასწავლებლებს მოსწავლეთა საწყისი ცოდნისა და საჭიროებების განსაზღვრაში.

შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში, მათ შორის შიდა სასკოლო და არაფორმალური განათლების პროექტებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი განხორციელებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა საქმიანობას.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მათ მონაწილეობას პროექტებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებსა და ინიციატივებში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენას, რაც ასევე განიხილება შეფასების პროცესში.

მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც აკადემიურ მიღწევებს, ასევე მოსწავლეთა პროგრესს, ჩართულობას, მოტივაციასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში გამოვლენილ უნარებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კომპლექსურობას და მოსწავლის განვითარების სრულყოფილ აღქმას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის სრულყოფილ ანალიზს. აღნიშნული მეთოდები მოიცავს წერით დავალებებს, დიაგნოსტიკურ წერებს, საკლასო მუშაობაზე დაკვირვებას, შემაჯამებელ დავალებებსა და სხვადასხვა ტიპის სასწავლო აქტივობებს.

შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა და მათი გამოყენება ხორციელდება საგნობრივი კათედრების მიერ. კათედრების შეხვედრებზე განიხილება შეფასების ინსტრუმენტები, მათი ეფექტიანობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან. საჭიროების შემთხვევაში კათედრები ახდენენ აღნიშნული ინსტრუმენტების დახვეწასა და გაუმჯობესებას.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესს ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის და მიღებული შედეგების გადამოწმებასა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებას და მიზნად ისახავს მოსწავლის აკადემიური პროგრესისა და განვითარების მრავალმხრივ შეფასებას. სკოლის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შეფასების სისტემას, რომელიც ეფუძნება ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ვალიდურობის პრინციპებს.

შეფასების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების სანდოობასა და ობიექტურობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა მიღწევების სამართლიან შეფასებას და სწავლა-სწავლების პროცესის შემდგომ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ - ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *კათედრების ანგარიშები;*
- *სადიაგნოსტიკო ტესტის ნიმუშები;*
- *მოსწავლეთა ნაშრომების ნიმუშები;*
- *განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სამოქმედო გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად;

დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასება მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალური მასწავლებლების, ისე საგნობრივი კათედრების დონეზე. თითოეული მასწავლებელი აფასებს საკუთარ სასწავლო პრაქტიკასა და კურიკულუმის კომპონენტებს, ამაზე დაყრდნობით იდენტიფიცირდება საჭიროებები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები ცვლილებების შესატანად. აღნიშნულ პროცესს და შედეგებს აღწერენ საკუთარ ანგარიშში და წარუდგენენ ადმინისტრაციას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად, დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები.

მთლიანი მონიტორინგისა და შეფასების პროცესი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, და, შესაბამისად, გადამუშავებული ვერსია მაქსიმალურად ეფუძნება სკოლის წინარე გამოცდილებას.

როგორც სკოლის მიერ დოკუმენტებში ვკითხულობთ, სკოლაში დანერგილია სწავლა/სწავლების პროცესის მონიტორინგის სისტემა, რომელიც წელიწდში მინიმუმ ერთხელ ხორციელდება და მზადდება შესაბამისი ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 21.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველლყოფის ექსპერტი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი - ნ. ბეგაშვილი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი- ინგა ალავერდაშვილი

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი - ელენე ოგბაიძე

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი - შორენა ნიკოლეიშვილი

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი - მარინე რეხვიაშვილი / /

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი - სოფიო ხვადაგიანი

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი - ნინო ჭანტურიძე

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი - ნინო ლაცაბიძე

კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი - ჟანა ბელქანია



სპორტის საგნობრივი ექსპერტი -